# ცისკარი

---

**1860**

იანვარი.

წელიწადი მეორე.

## ქონება თხზულებათა:


I. — შესავალი, წიგნი მიწერილი თეიმურაზთან. . . . ბაქარ ქართლელისა.
ახალი წელიწადი (პროზად) ჯანათლისა და (ლექსად). ივ. კერესელიძისა.
ვარდ-ბულბულიანი. . . მეფე თეიმურაზისა.
II. — სურამის ციხე (დასასრული). დ. ჭონქაძისა.
III. — ლექსები სხუა და სხუათა თანმედროვეთა მწერალთა.
IV. — მეფე სოლომონ მეორეზე. მ. ყიფიანისა.
V. — ადგილ-მამულის მართვა. თ. პლ. ციციშვილისა.
VI. — წიგნი მოწერილი რედაკ-ტორთან. . . . კნ. ბარ. ჯორჯაძისა.
VII. — სხუა და სხუა ამბავი (ნახე მეორე გვერდზე). . . თ. ზაქ. ერისთავისა.


---


ტფილისი.

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

# ცისკარი

# ცისკარი

## ქართული

სალიტერატურო ჟურნალი.

გამოცემის ივ. კერესელიძისა მიერ.

## წიგნი პირველი.

იანვარი.

წელიწადი მეოთხე.

---

ტფილისი

კერესელიძის ტიპოგრაფიაში.

1860

Печатать позволяется. Декабря 13 дня, 1859 года.
Испр. должн. Груз. Ценсора Св. Алексѣевъ.

## ძველი და ახალი წელიწადი.

## 1859 და 1860 წ.

---

წარვიდა წარსული წელიწადი, განჰქრა, დაინთქა თუ დაიმარხა უფსკრულში?—ის იცის ერთმა უფალმან, ბრწყინვალე საყდარსა მჯდომარემ, ცისა და ქვეყნისა მამამ. ვინ იცის, იქნება ის საცოდავი წელიწადი წარსდგა წინაშე ძლიერის მამისა, თავდახრილი, შევდომებულის პირით, ვინაჲდგან ჰკითხავდა.—«1859-ო წელიწადო! რას მიანბობ წარმავალის სოფლისას?—რა მოიტანე იქიდგან?—რას ანბავს მეტყვი ჩემის ერისას? მშვდობა მათდა?—კეთილის მყოფობა მათდა? რად სდუმ წელიწადო?—მეტყოდე და მიანბობდე ჩემგნით გაჩენილის კაცის ვითარებას?»—ოჰ! უფლის წინაშე აღიარა საცო-

დავმა წელიწადმა, კაცის ნაკლულევანებათა. აი, ეხლა მუზი იზახის: წელიწადმა აღიარა კაცის ნაკლულევანება ღჳთის წინაშე. წელიწადო, ეგ არზავი მიიტანე ღჳთის წინაშე ბედკრულობა კაცობრიობისა?—«ჰო, ჰო.» მუზი იზახის. საწყალობელის ჩუენთან დაჩუეულის წელიწადს, მლოიერი ჩუენი მამა განურისხდა; თჳთ იმან იცის რათაცა. შეიპყრა ჯაჭჳთ, ჰკრა ყელი და შეკრული შთააგდო ერთსა საშინელისა ჯურღმულისა ყორმესა, საიდგანაც ამოხდა ხმა მოზაქებული სასიკუდილო და ვაების ტირილი გოდებითურთ. ბოლოს კჳნესით მოკჳდა იმ ჯურღმულში საწყალობელი წარსული წელიწადი, სადაც ამოეპა მკჳდრობს სვეტსა ზედა საიდუმლოდ. ეს ტკჳლილები იყო ქვეყანაზედ, შუაღამისა თორმეტს საათზედ სრულსა, როდესაც ქვეყანას გამოეთხოვა უკანასკნელი ჟამი წარსულის წელიწადისა და ზეცაში აღვიდა დაობლებული ქვითინით. ამ დროს ზარი ჩამოჰკრეს ზეცის სამრეკლოსა, რეკა განხმარდა, რეკამ მოიცჳა საზღვარი ზეცისა და ჟამი ახალი წლისა მიუთხრა ქჳეყანასა, სწორედ შუაღამის დროს. ერთი აღვიდა და განჰქრა, მეორე გარდმოვიდა და განცხოვლდა ქჳეყანაზედ; ორივ ერთს წუთში, საათმა რომ შუაღამის თორმეტის ზარი ჩა-

მოჰკრა.

დიდება შენდა საკვირველებათო! ყაყოდ კიბე იავოზისა ელვა ახალისა წელიწადისა, ზეციდგან დაშვებული ქვეყანად, რომელზედაც გარდმოივლიდა, ღვთის ჴელითა წამოსხმულის ზოდიოთა, ვისაც უხილავი დამატკბუნებელი ჴმოვანება აცილებდა შორით მოსულის მგზავრსა იმას. «ოსანა კურთხეულო!» მშვიდობა შენდა ახალო წელიწადო! მობძანდი ❦ მოგვიტანე უკუპი დალიბობილი კეთილისა წყაროსა შინა; იმ წყაროში, საცა გამოივლის ღვთის წინაშე ჩქარ-ჩქარითა სასუფეველში. მოგვიტანე ❦ ასხურე ქვეყანასა ახალი კეთილი ცხოვრება; ახარე წმინდა სიხარული, მოეც პატიოსანი დაშაქრული სიცოცხლე სიბერემდინ ❦ უნაკლულო ბედნიერება, რომელთაცა ურთიერთისათვს კაცთა მიგველოცოს ბზისა რტოებითა. მრავალჟამიერ!....

ჭანათლი.

# ახალი წელიწადი.

(ვუძღვნი ბაქარ ქართლელს.)

რამდენიც მოდის ახალი წელი,
იმდენს ახალ ბედს როგორღაც ველი,
ერთიც მივალის და მეორეც კიდების
და მაგი ისევ ჩემს ფიქრით ვრჩები.
აჰ, კვალად ჩავდექ ახალსა წელში,
ჩვეულებრ ღიმით მივეგებები,
ისკი არ ვიცი ამ ცრუ სოფელში
რა შემიზინდეს, რას ვეხეტები?
წარსულითა წლითა, ჩემს გულის მკვლელთა
რამდენი შთანთქეს მათ სასურველი,
მათ კანონთა აქვსთ მუდამ ყამს სოფელი,
მაშ რაღა მიხარის ახალი წელი?

ახალითა წლითა ნორჩობა ჩემი
ჩემს უკითხავად სრულიად წარიღეს,
ძველის ახალი წლის რა მივეგები,
წინ მომავლებზე ისიც სიზმრეს.
მეპყრა ჭაბუკ დროს სავსე ფიალი,
ამ ახალით წელით წყნარ-წყნარად მომისვეს,
სიჭაბუკისვე გრძნობისა ალი
მათ დამიშრიტეს, მათვე დამივსეს.

ჩემთვის ეს იყვნენ ახალნი წელნი,
როს ჩემთ მეგობართ შორისა ვრზოდი,
არღარა მყვანან აწ მე რომელნი,
რომელთაც გრძნობით მოყვასად ვხმობდი.
თუ რომ ვმაყოფის გამოვკვლევ ველი,
მაშ რაღ მიხარის ახალი წელი?....

ჩემთვის ის იყო წელი ახალი,
როს არ ვიცოდი ზრუნვა ჭაცთა მკშლელი,
რომლისაც ვიყავ იავის ყვავილი,
როს დავფრინავდი ვითა ფრინველი!...
რამდენიც მოდის ახალი წელი,
იმდენს ახალს მე ზრუნვას მიმატებს,
მოველის,— ახალს ზედს რამდენსაც ველი,
იმდენს წარსულის დროს უფრო მაგონებს.
ერთმანეთს ვკოცნით ზედს ახალს ვსურით
მაშინ, როს მოჰყავს წლის დასასრული,
მოყვასის მოგვილოცავს ძმას, სატრფოს გულითა,
და თან მაჭქონან ვმაყოფა სრული.
ახალით წელით მოაქვსთ თუ ჭმუნვა ძნელი,
მაშ რაღ მიხარის ახალი წელი?

ჩემთვის იქნება ახალი წელი
ის დღე, როს ვნახავ მე ჩემსა მამულს,
რიდე მოხდოდეს პირთაგან ბნელი,
ზღვას დასცურავდეს სამნელით განსრულს.
ერთგვარ მყოფობა, ერთგვარ ცხოვრება,

ერთ ბიჯით მივალის ჩემი იმედი,
სად სულის ლხენა, სად მყუდროება,
რომელის კუთხეში არს ჩემი ბედი?
ახ ხვედრო ჩემო! ამ გვარი წელი
ჩემთვისა არის მაშ რის სამქნელი?

არ არის ეჭვს ადრე მოვკვდები,
აღსრულებამდენ ჩემის სურვილის;
არ არის ეჭვს ცა რომ ღრუბლდების,
შარავანდია მის უკუმყრელი.
მამულის ბედი მაშ ვინცაა ნახოს,
დაესწრას მას დროს შველი რომელი,
მოვიდეს საფლავს ჩემ ჩამომძახოს,
იქ მსურს ვიუქმო ახალი წელი!...
. . . . . . . . . . .

ივ. კერესელიძე.

# ვარდ ბულბულიანი.

(თქმული მეფის თეიმურაზ მეორისაგან)

ჵე არსისა შემომქმედო, შენ ვინ არის ყოვლად-
ფერი:
ცა, ქვეყანა, ზღვა და ხმელი, დარი მზისა მონაფერი,
ვერვის მალუმს საოცრებსა ქება შენი შესაფერი,
მენცა მოიხსავ მოწყალეო, თუ სიცრუით მოგეფერი!
ვიწყო რამე სიტყუა მცირე, ბრძენმან ვინმე
ყურადიღოს,
გულისაგან საუნჯისა ვის რა ძღვან გამოიღოს,
მართებს კაცმან კარგი ნახოს, მანცა მისგან
გარდმოიღოს,
უგუნურმან და უცებმან, ვერა რამე წამოიღოს.
ჰსცანით სიბრძნისა ტრფიალნო, მალი სიტყვათა
თქმულისა,

უცებითა არად სანდომო, ცნობილითა წამლად ცუ-ლისა,
მე გამიმწარდა საწუთრო, ამგზარ ვიქმენ სულისა,
სოფლისა ავად ზრუნვამან მე ერთობ გამაცულისა.
ფილოსოფოსთა ელინთა, სიბრძნე შვიდი განყ-ქსული,
ერთი არის რიტორება, სიტყვათ შეთხზვა განე-ქსული,
უკვდავისარ ცნობა გმართებს, პირუტყვად გაქეს განექსული,
ნამლევი ვართ თუ ვინმე თქვას, ჩემებრ რამე განექსული.
ვარდისა და ბულბულისა, ვის გაბრქობა არ ახსოდეს,
მას იამოს ეს ანდაზა, თუ ვისთვისმე ყელი ჭრობდეს,
ვის მახვილი გულად ედოს, ცრემლთა ნაცვლად სისხლი ჰსწვეთდეს,
იგ უცილოდ წადიერად, ყურსა სმენად მიუპყრობდეს.
გაუბნა ერთმან ერთსა მოლა ჯაგი ბრძენთა ბრძენმან,
ბულბულს ვარდი, ვარდს ბულბული, სიტყვა ცხებილი ენა გრძელმან,
სალხინოდ და სალაღობოდ, სხვად არასვე მესამემან,
მიჯნურთათვის გულს ლახვარი, ჭირი ჭირზედ დასამძურმან.
შევიწიო მალი მლოქთისა, მე დავიწყო თარგ-მანობა,

გაზაფხულზედ დაიწყობის აწინდელი სიტყვის თხრობა,
ეზღე კორძისიბზედ გარდაჯდების, შეიქმნების ქვეყნად თმობა,
ფრინველთაგან გამოხდების, ჭიკჭიკი და ამოხმობა.

ზღუა დაჭსწყნარდა ღელვისაგან, შეიცვალა ქარ კეთილად,
ვითა გული გამწყრალისა, შეიქმნა და იქმნა ლბილად,
მკცინვარება ზამთრისა და ყინვა დადნა ვითა სილად,
ხეთა იწყეს შემოსავე, პირველისა დანაცვლად.

ჭაერიცა შეიცვალა ჟამ კეთილმა მოაჭბერა,
მანვე მიწა განაახლა, ვინც რომ პირველ მოაჭბერა,
მაქებარად კელოვნისა, გამოჭსხნილების მოაჭბერა,
გამისინჯეთ ლექს ქართული, ერთმანეთსა მოვაბერა,
წელიწადის მოქცევამან მიწის პირი განაახლა,
იგ ოსტატი ხელოვანი, პირველ იყო განაახლა,
ქარი, მიწა, ცეცხლი, წყალი, ერთმანერთსა თანაახლა,
ცა ყინვაზედ, მიწა წყალზედ, ადრიდგანვე დაასახლა.

გაზაფხულის წვიმამ სწორმა, ჟანგიანი მიწა რეცხოს,
ხენი ნაყოფთ გამომღებლად მოდგომილი დაიკვერცხოს,
ამაუმნა ჭიკჭიკითა, ლამის მეცა გამამერცხლოს,
მელექსემან სამს თუ სიტყუა ახალისოს წმინდა ვერცხლოს.

ვითა ცურვა ასალ სმალი საწუთროსა დანაზ-
რობდა,
წყლისა პირსა ალვა ნორჩი, ცურვას რასმე და-
ნაზრობდა,
ყვავილი და მწვანე მოლი, თავსა მიწით დანაზ-
რობდა,
მზისა მუქთა მომლოდინე იგ არვისგან დანაზ-
რობდა.

ჯერ ვადიდო რაც მალმედვას, შემომქმედი
მისგან ქმნილმან,
მაგრამ რაქნა სოლომონცა, მცირე რამე უთხრა
ბილმან,
და მივიქცე პირველისვე, ამბავზედა სიტყვა მცირმან,
მალსა მისსა საქებარად, ალმოსეთქა ნერგთა მირმან.

დაუსწრო პირველ ყოველთა, ყვავილთა მოსვლა-
იასამან,
მოგვართვა სუნი სურნელთა, იგ საყნოსელმან იასამან
თავ მოდრეკილმან სიმდაბლით, არ თავი გაიხიამან,
ტკბილად მეხედა თვალმან და გულისა კარმან
ლიამან.

სურნელი და პირად თეთრი, გაიმალა იასამან,
ვჰხთქვ: ეს ჰსჯობსო ფერად, სულად, დამამდურა-
იასა მან,
მას ვერა ჰსჯობს ერთი რამე, ვერ უდარის იასამან,
ვერ მიუდგე მოსაკრეფლად, ვის დაუხვამ იასამან.
ზამბახმან პირი გამალა, იგ თავი სულმან დახარა,
ალევავსო სუნნელებითა, ყვავილმან სულმა დასარა,

ვფიცავ ან მმასარ ვარდისა, ან ჩემმან სულმა დასარო.
რა მოვიდა დრო მოსვლისა, სუმბულიცა მოვასითმე,
ნასა ვინმე პირად ეჩვმან, ვთქვა ვჯობვარო ხეცარი რითმე,
უსუნა და თქუა მგლომი, მე სიტურფე ვით დავითმე,
მავისარ და სული ამბარი ზილფაი მიდი ან დავითმე.
სარვიზ მოვა შვენებითა ყვავილთა შემოსილთა,
არ ვიცი ვის გავს, სით მოვა, მისი გვარი დავსილთა,
მისითა სუნნელებითა წალკოტი სულ ავსილთა,
გამდიდრებულა ბაღი და მებაღე არ დავსილთა.
ყაყაჩო და არღავანი ერთმანერთსა ეუბნების:
სიტურფით და მშვენებითა, ფერად ფერვინ ეჯდარების,
სუნნელებასა ვეჭარბობეს ჩემი გული ამად ტკბების,
მივიდეთ და განვერივნეთ, მათში ნურვინ გამოსაწუდების.
სოსანმან უთხრა შაშპარსა: ქურფი ვაქეს თალხი ფერები,
ვიგავს რამე მგლოვარესა, გული სჩანს დანაბერები,
შენ სუნი გიდის სუნნელთა, ტურფა რამ მონაბერები,
სუნი მაქვს და შვენება, მათთან მეც შევეფერები,
ვით ვიამბო რიცხვ, ზომა, მათ ყვავილთა ვარევანითა,
სუნნელი და მრავალფერი რა თუ მსგავსი ეკალნართა
თქვენ მოველით უკეთესსა, მოვა საქმე წარვემართა.

ჭფეერომს ჩვენი ჴელმწიფობა, რად იყოვნის არ მოგვმართა?
თქვენ რა გვექნების უმისოდ, ვარდისაც მომლოდინეს,
ჩვენა თავდაგვაცს საამოდ, მისთჳს ვლას ცრემლითა მდინეს,
მოვიდეს ნახეს გაშლილი, თქვენ ეგზომ ტურფავინ ესა,
თაყვანის ჰსცეს და მოუტკბეს, გალიმეს გაუცინესა,
მათ მუა დასვეს ჴელმწიფედ, იგი მისებრად შვენოდა,
ეგზომი მათი სიტურფე, მასთან არ გამოჩნდებოდა,
მეფე, ვლასა და მდიდარი იშვებდენ არ მოსწყენოდა,
იგ მისთჳს ჴელი ბულბული, თავს ევლებოდა მღეროდა.
ბალი ბასრა და წალკოტი, შამკო დაამშვენამან,
იგ მონად შექმნა ყოველი, თეთრ-წითლად მუქთა ფენამან,
სულ საყნოსელი აავსო, სუნნელებისა დენამან,
ველარაქმნარა სევდამან, მეტრფეებამან, წყენამან.
ყველამ მომართა სალხინოდ, იგ ვისა ჰსცალდა ვის არა.
ჰსცსვენიან ტირის უფალსა, თუ არ მეტრფეებით ზის არა,
მელუწეს ზლუდე კარები, ლომებმან ველარ ისარა,
რაღა იცვიან ღამისა, ან მზისა ამოსვლისარა.
ბულბულისა რაღა ვითხრა ვაუწყვეტლად ყეფა, მღერა,

მისმან ეშხომ ძლიობმან, ყოვლი სული შეაძრა,
იგ სულისა დაულეველად, ტირილი და ცრემლთა დენა,
ვარდმან ნახა ითაკილა, შეუშვიდა გულსა წყენა.
მან ერთხელ ისმო მებაღე, სალუგათად თავის წინარე,
თქვა: ჰკვიოსავ რასმეს მიანბე, თვარე ვყო ცრემლთა მდინარე,
ბევრი მრავალ ფერად მსობარე, მითხარ ეს ჩიტი ვინარე,
ბულბულის, იწვის და იმასის, არ ვის უნახავს მძინარე.
ბევრჯელ მინახავს უსულო, ეკალთა მისა მდებარე,
ფაფხედავ უთხარ დამარხეთ, რა ბაღში მოვა მებარე,
ოტყევს, ცოცხალვარ რად მმარხავთ, გულსა ცეცხლი მწვავს მეზებარე,
აწ მითხარ მე და ეს ბაღი, შენს ქმლით ვართ შენ მოვებარე.
მებაღე ჰკადრებს ფშუროვათ, თვალად, ფერად და სულადო,
ისარებს ყოვლი ქვეყანა, ამოხვალ კარგი სულადო,
მე შენი სამსახური მაქვს, ჩემად სიცოცხლედ სულადო,
მე ვგონებ ამა საწყალსა, ჭკუნსავან გარდასულადო.
მიბძანე, მითხარ მართალი, თვარ ვიკადრებდი მე რადო,
შენითვსა კვდების, იწვების, ჰორის_ჰორ ეშხის მწყრადო

თავს ევლების კელ ქმნილი, ზედ დაეჭიკჭიკებს
მღერადო.
აწ შენცა ჰკითხე გიამბობს, უბმანე დამკვრვნეს
მე რადო!
რა წასვალ დაიკარგების, რა მოსვალ მოვა
ქსეცო,
გადმოღების თავ გაწირული, ჰხედავ ლაშქარს ქსეცო,
უსასრულოდ და ლაროვი, ცოცხა რაშ ცანსა ქს ეცო,
რას გეძის, თორემ შენ იცი, გაგაგდებინო ქსეცო.
თუ რომე მკითხავ დღესსუნ, იყოს ამ შენსა
არესა,
ამოა ცქვილი შემობელი, ნუ მომშლი ბარის
ვარესა,
ბროლის აქ არ იმასდეს, კაცმან გაგდოს გარესა,
არ დაიმალა მით ვარდმან, სიცხვას მეცოცხლე ეც-
ხველის მწარესა,
ვარდმან ბულბულს სიცოცხა უთხრა, მქისი რამე
არით ცქვილი
სადმე მზოვე და ან ვინ შენ, კელი სარ და ან შემლილი,
ჰგეეფ, იმასი დღე და ლამე, გამიკრთების თვალთა
მილი,
საქმე კელად ადილია, ერთობ მწერი არ ადვილი,
ბულბულსა ესმა იმა, ვარდის გაუბნებათ,
უზომოს სისარულითა, გულარ ზის ზე ქვე სცემათ,
ჩემისა სიკეთილისაგან, მიისარ თუ რა გერგებათ,
თუ გაეერვები ცოცხალი მე სული ამომძვრებათ,

რად მეტად უცხოდ გამხადე, ბძანებ შენ ვინ ხ̃ მე ვინო,
ცეცხლსა უშრეტსა უწყალოდ, სხვამან ვინ დამაწვევინა,
შენი მეიდი ბულბული, კარში რამ გაგაწყვეტინა,
ნეტარ კი დამსხნა სურვილსა ცოცხალს არ გამაწყვეტინა.
ვარდმან უბძანა ბულბულსა, უჭკუო ვინმე ხარ ხელადო,
ეგ შენი ვინმე საფერი უნდა აქელო ქალადო,
უფრო სხვა გვარი უნდოდა, ჩემივს გაჭრილი ქალადო,
ხელმწიფეთ სატრფიალოსა, რად გამხდი საკიცხელადო?
ბულბულმან უთხრა პირმზეო, რად აგრე მომამორიგო,
ვერე მწარისა სიტყვითა, გულში ლახვარი მარეო,
შენს ახლოს ყოფვას არ ვღირსვარ ეკალში გამიგარეო,
აქ შენ წინ თავსა მოვიკლავ თუ კიდევ მიოხარ მარეო.
ვარდმან თქვა: შენი სიტყვები, მე გულში მეცა დანადო,
მიჯნური უნდა საფერი ვინ მნახოს თვალად ტანადო,
მე ვარ ყვავილთა ხელმწიფე, ვის ხედავ ჩემისთანადო,
დამეხსენ თვარ გაცემინებ, სიკვდე მოგეცეს განადო.
ბულბულმან უთხრა, საკუდავად მე თავი გამიწირავო,
მე შენი მეკვეთილივარ, არ სხვა ფრინველი არაო,
მომკლავ, დამარჩენ, მე შენმა სიტურფემ გამაკვირვაო,
შენ შესაფერად დაგმღერი, არ ავად რასმე გეკრიაო,

ვარდმან უბრძანა, ლხინის მადლსა დამეხსენ გამეცალეო,
გვერდს მასლავან ტურფა ყვავილნი, ამათთვის მამაცალეო,
სტუმრად ვარ, ცოტა ხანი ვგიძს, ეს ბაღი დამიცალეო,
სხვაგან ჰქმენ შენი ბანაკი, ადგილი გადიცვალეო.
აწ გაახშირებს ბულბული, ტკბილისა სულთქმა უქმებსა,
ივ სისხლის ფერად ნაღებსა, გლახ ცრემლსა გადუმშრალებსა,
ეძებს: სად მადგემ საწყალსა, ტყვესა აწ შენგან უშვებსა,
მეც ვიცი შენი შვენება, კაცს ცოცხალს არ გაუშვებსა,
არ გაგეყრები ცოცხალი, რომ წვრილად დამახევინო,
შენსა ეკალსა ავეცმი, სხვა შენთ არ ვიცი ხე ვინო?
ფერქმეშ მოვიკვდე, ჩემზედა საყელო ვარდგახევინო,
ჩემისა სიბრალულითა, სიცოცხლე დაგაწყევინო.
ვარდმან უბძანა ბულბულსა, ვერ ჰხედავ ჩემსა ფერასა,
ვიცი რომ გაწყენ, მაგრამ არ ღირსხარ შენ ჩემსა მზერასა,
სხვაც არი ტურფა ყვავილი, ჩამომეკიდე მე რასა?
ნახეთუ ჩემისთანასა, ალმოამორჩებს მზერასა.
მე თავის ქება მრცხვენოდა, აწ არ დამეხსენ, გიქებო,

ჩემებრ ნაყოფს ველოსა, სიტურფით გავაქიქებთ,
თავს მოვხვდები სავსესა, ჭიქასაც მე ვაჭიქებთ,
მეჭყურეტელნი გულსა ვტყვან ესე სჯობს მასთან
იქები.

მეფენი და ჴელმწიფენი, საცრით თავსა გარდმოყრიან,
რა მე მნახვენ გულისაგან, მეჭირვებას გარდიყრიან,
დაიმორჩილს სულმან ჩემმან, ბილით არსად გამიყრიან,
სხვა ტურფარამ სანახავი, ჩემგან კიდე აიყრიან.

ქალნი ჴელქმნულნი მღერიან, მიჯნურნი
სამიჯნუროსა,
ჩემზედ შეთხზვენ რიტორნი, სიტყვასა მათებურობა,
ვინ თავს დამოჭკობს არა მშურს, ვერვინი
მათებუროსა,
ნაცე ფერი და წამლობა თუ ვინმე გამომწუროსა.

კეკლუცნი ლაწვთა მნათობნი, დამიჭმენ ზედა
მიდებენ,
თუნდა რომ იყვნენ ჩემთანა, მისთჳს ცრომებენ მიდებენ,
მაგრამ ცუდია მნახავნი, უკეთესობას მიდებენ,
ჭვავს, მაგრამ კიდევ შენა ჰსჯობ, მე ამით გუ-
ლსა მიდებენ.

ამიყ მამიენი რაყამად, ერთმანეთ შეეყრებოდეს,
ჴელთა უჭირავს ორთავე, წოლად არ წაეყრებოდეს,
უჩემოდ არც ერთი ვარდა, რა დაწვნენ დაეყრებოდეს,
მათსა საწოლსა საჯდომსა, ქვეშ სხვა ვინ წაე-
ყრებოდეს.

ქალნი ტურფანი კეკლუცნი, წალკოტსა ჩემ-
თან მორებენ,

დამკრეფენ ბროლის თითითა, ეკალსა მომაშორებენ,
სუნნელსა უბესა ჩემითა, ავსებენ ამიყორებენ,
ჩემსა მიდამოს ლხინობენ, თამაშობენ და გორებენ.
არ ჩამომეხსენ მე თავი მგონია მაქებინეო,
შენ არ იცი და მე ვიცი, სადაურივარ ვინეო,
სად იყო ჩემი სამყოფი, პირველ სად მოვილხინეო,
მე ბძანებითა ღჳთისათა, სამოთხით მოვივლინეო!

(დასასრული იქნება შემდეგომ ნომერში.)

# სურამის ციხე.

(განგრძელება.)

---

## V.

ავლაბარში, სუფკარაპეტის ეკკლესიის აღმოსავლეთის მხრით, ზედ გორაზე, იმ დროს, როდესაც ხდებოდა ის საქმეები, რომელთაცა ეხლა მე მოგახსენებთ, ჰსთქო მორიგემ, იდგა მხოლოდ ერთი ოთახიანი იაქათილის სახლი, რომელსაც ჰქონდა ორი ფანჯარა დასავლეთისაკენ, მაგრამ იქიდგან არა სჩანდარა, იმიტომ რო ის ფანჯრები იყვნენ გაკრულნი ზეთ წასმული ქაღალდით. ეს სახლი ცოტა რომ მიელაგ-მოელაგებინა კაცს გარეთგან: ქაღალდის მაგიერ ჩაესოთ მინები ფანჯრებში და გაელესნათ, იქნებოდა

სასიამოვნო შესახედი, მაგრამ ეხლანდელის მდგომარეობით იცქეროდა როგორღაც დაღონებით.

იყო იანვრის დილა, ;ქროდა ქარი და წუწუნებით აყრიდა ნაქერს ფანჯრებსა; იმ სახლში მცხოვრებნი, ორი ქვრივი დედაკაცნი ის იყო ამდგარ-იყვნენ და ერთი ჰგვიდა სახლსა, მეორეს კი ახლად ამდგარსა ლოგინითგან წამოესხა სინჯაფის ქათიბი, ქურს-ში შეეყო ფეხები და თბებოდა, პირველი იყო კარგა მოხუცებული, თითქმის სამოცდა ათი წლისა და წლოვანებით ცოტათი მოხრილი ტანში, მაგრამ პირის სახეზე სჩანდა, რომ ის თავის დროზე ყოფილიყო არა უარგისი. მეორე იყო ასე ოც და თხუთმეტ წლამდე. ცოტა დიდი ცხვირი, ხმელი პირის სახე, წვრილი, თითქო დასცინიან ვისმე, იმისთანა ტუჩები, თვალები შავი, მაგრამ იმისთანათ შემოგხედა—მიატყოდი, რომ ეს დედაკაცი ჩემს სულისაცკი ხედავსო; ჰსჩანს რომ ის არ ეკუთვნოდა იმ გვარ ქალთა, რომელნიცა თავის ცხოვრებაში, არ მიიღებენ შრომას განსაჯონ არც ერთმა საგანი.

—არა დედი-ჯან, მე აღარ შემიძლიან ეს, რაც გინდა მიყავ, ისევ სჯობა ჭელობას დავიწყოო, უთხრა უნცროსმა ქალმა მოხუცებულსა.

— რატომ შვილო, რა არის?

— რა არის, ბევრჯელ ისე შევწუხდე-ბი ხოლმე, რომ არ ვიცი რა ვქნა.

— რისგან შვილო?

— იმისაგან, რომ ადამიანი მოდის, მართა-ლი საჩივრები აქვს, ტირის, გეხვეწება, გაფიცებს, რომ მართალი უთხრა და შენ უნდა დაუწყო ეშმაკმა იცის რა?

— რა ვქნათ შვილო, ჩვენი მამა-პაპაც ეგ-რე ყოფილა და ჩვენც ეგრე უნდა ვიყვნეთ.

— აი ეხლა იმ საწყალ გოგოს მივეცი პირობა, ხუალე მოდი და ხვალე გეტყვი მეთქი რაც უნდა ჰქნა, ამაღამ სიზმარში ვნახამ მეთქი, მაგრამ მე წყეული სიზმარი სულაც არ მინახავს, ისევ ეხლავ მოვა. აბა რა უნდა ვუთხრა?

— ვინ გოგო მე არ მახსოვს?

— აი ერთი ლამაზ-ლამაზი გოგო არ მოვიდა, რომ ტიროდა კიდეცა.

— ჰო, მე კარში გავედი მაშინა, მერმე რა იყო?

— რა იყო! საშინელი ტირილით მეუბ-ნება, რომ დანიშნულმა მომატყუაო, ჯერ მე შემიყვარა და მერმე სხვაზე დაიწერა ჯვარიო.

— ახლა რა უყოთ. ცოტა მოხდება ხოლმე მაგისთანა მაგალითები?

—იმას ჰგონია, რომ ის იყო პირველი მაგის მაგალითი, დაღონებით ჰსთქო ყუნც-როსმა·

—მერმე რა მინდაო?

—გინდა თუ არა ერთი იმ ნაირი რამ მასწავლეო, რომ მეც ისე მოვუკლა იმას გულიო, როგორც იმან მომიკლაო.

—შენმა მზემ ვერას გეტყოდი, გიჟივით ტირილს დაიწყებდი იმასთან.

—არა, თუნდა რომ მომდიოდა ტირილი, მაგრამ მაინც კიდევ გავუმაგრე ქური და ვუთ-ხარი, რომ გორი ჯუარი და არბოს წმინდა გიორგი ელოცვა და ისენი დასჯიდნენ იმის ორგულს.

—ცოტა შორს უნდა გაგეგზავნა, უნდა გეთქო სვარის ანგელოზი, ან ლომისა, ან ლაშქრის ჯუარი, ისე რომ ასრულება გამნელებიყო.

—რას ბძანებ, იქაც არ მიდის, ჩემ და ღმერთ შუა ერთი ალარა არისრაო, მე იმა-სთანა რამე მასწავლეო რომ ეშმაკის ძალით ასრულდესო.

—მერმე რა უთხარი შენ?

—რას ვეტყოდი; უთხარი დღეს მოსულ-იყო და აი საცაა მოვა და არ ვიცი რა უთხრა.

—მაშ როცა მოვიდეს უთხარი, რომ დედა გიკითხამსთქო.

იმ დროს, როდესაც ესენი ასე ლაპარაკობდნენ, გულის ვარდი დაეთხოვა თავის ქალბატონს და წამოვიდა ამასთან; ეს იყო იმის მეორე დღეს, როდესაც შეიტყო დურმიშხანის დაქორწინება.

გულის ვარდმა გაყინულის ჴელებით დააკაკუნა კარები.

— ვინა ხარ? შემოდი.

— უკაცრავად შეგაწუხეთ, უდროოთ გიახელით, ჰსთქო ვარდომ, რო შევიდა შინ.

— არაფერი შვილო, არა უშავსრა; მოდი გათბი, მიდი ქურსთანა, უთხრა უფროსმა დედაკაცმა.

გულის ვარდი მივიდა, გაიხადა ქოშები, ავიდა ტახტზე, ასწია საბანს და მიუჯდა ქურსს.

— აი დედავ ის ქალი წუხელ რო გითხარი, უთხრა უნცროსმა ქალმა დედას, გულის ვარდი რო გათბა მაშინ.

მოხუცებულმა დაათვალიერა გულის ვარდი.

— იმ უღმერთოს, შენზე ლამაზი ვინღა უნდოდა, მზის უნახავს ხო არ იშოვნიდა.

გულის ვარდმა მორცხობით დაღუნა თავი და თვალები აევსო ცრემლითა.

— ნუ სწუხარ შვილო; უთხრა იმავე დედაკაცმა, ნუ სწუხარ, შენ არახარ მაგისა ჭირვეული მაგალითი.

—ჰო, შენ არახარ მაგისი პირველი მაგალითი, დაუმატა უნცროსმაც ნაღვლიანათ.

—ახლა რა გინდა შვილო, ჰკითხა უფროსმა.

—შენ ქალს ვითხე რაც მინდა.

—ასწავლე იმისთანა რამ, რომ შური იძიოს.

—შურის ძიება ცოდვა არის შვილო, ღმერთზედ მიანდე, ღმერთი ილოცე, რომ იმან გადაუხადოს მაგიერი.

—არა დედი, მე თითონ უნდა გადაუხადო მაგიერი; გადაუხადო ისე, რომ იცოდეს, ის მე ვიყავი და არა სხვა ვინმე.

—მაშ რა ვქნათ შვილო, აი რას გეტყვი, ჯერ ხნობით არ შეიძლება გადახდა, უნდა მოიცადო კარგა ხანი.

—რამდენიც გნებავთ, თუნდა სიკვდილამდე, ოღონდ კი ბოლოს მოუკლა მე იმას გული.

—მაშ იცი რას გეტყვი?

—მიბძანეთ.

—ისწავლე მკითხაობა, და როდესაც ყოველსავე მკითხაობის საიდუმლოებას ისწავლი, მაშინ შენ თითონ მოიგონებ რა გვარათაც დასაჯო შენი მტერი. გინდა?

—მინდა, ცოტა ხანს უკან ჰსთქვა გულის ვარდმა.

—არა შვილო, ჯერ ეგრე ჩქარა პირობას ნუ მამცემ, ჯერ მოიფიქრე კარგა.

—ფიქრი აღარ უნდა; მე ერთხელ შევიძლებ დავსაჯო ჩემი გულის მომკვლელი სხჳა რაღა მინდა?

—იცი შვილო რას იწყობ? არა. აი მე რა გითხრა. ეხლანდელი დღით შენ ეყრები ქვეყანას. ამის შემდეგ გაჰხდები კუდიანი, მკითხავი, ამის უკან ყველა დაგიწყებს შენ ყურებას არათუ როგორც ადამიანსა, არამედ როგორც რასმე კაცსა და ეშმაკის შუასა. გიფიქრია ეს?

—მე ფიქრი აღარ მინდა.

—არა, ამაზედ კიდევ იფიქრე, თუ შეგიძლიან ღმერთსაც შეეხვეწე, და ხვალ მითხარი რაზედაც გადაწყვეტ. ახლა მშვიდობით.

ამ ლაპარაკის შემდეგ გულის ვარდი გამოვიდა და წამოვიდა შინ.

—ეგდა გვაკლიდა,—უთხრა უნცროსმა ქალმა დედას დაყვედრებით, ვარდო რო გამოვიდა კარში,—აბა რაზე მოიხვიე თავზე სხჳს შვილი, რო შენი თავის შენახვაც გიძნელდება?

—რავქნა შვილო; მე მეგონა, რო ჩჳენი ხელობა შეაშინებდა და დაანებებინებდა თავს თავის განძრახვას. სჩანს რო არა ხუმრობს საწყალი.

—ახლა რაღას იქ? ხომ ნახე, რომ მე არა მგავს.

—შენ რა? ის რაღა კარგს შეჰრება: ხორციით დალოცვილობამ; სულიც უნდა დალოცოს.

—მაინც კიდევ ბარაქალა ქალო, თუ დალოცვა ისე მაინც, რომ უმტეროს თავის მტერს.

—ახლა რით უნდა უმტეროს მითომ, რომ თუ გინდ ჩუენი ქელობა ისწავლოს?

—მაშ არას ასწავლი?

—არა, მე იმედი მაქუს, რომ ამ ერთ წელიწადს დაავიწყდეს თავისი განზრახვა და გახდეს ისევ პატიოსან დედაკაცათ. იმითი დავიხსნით ჩუენ ქრისტიანე სულს ჯოჯოხეთიდგან და ეგება იმისთჳს ღმერთმა დაგვიმადლოს.

რომ არა ქნას და მოინდომოს სწავლა?

—ვასწავლი, სულ ვასწავლი რაცა ვიცი, და მერმე თითონ იცის როგორც მოიხმარებს ჩემს სწავლას. ამის გარდა შვილო რას გეტყუ? ეგ გოგო კიდეც გამოგვადგება ჩუენ, ხომ იცი რომ თავადების გოგოა, ვისაც ჩუენში საჭიროება ექნება მოასწავლის ჩუენთან და იმითი ერთ ლუკმა პურს ვიშოვნით.

სანამ ესენი ამას ლაპარაკობდენ, გულის ვარდი მივიდა შინ, შევიდა ქალიბატონ.

თან და სთხოვა განთავისუფლება.

— რათა გოგო, განა შეგძულდი? ჰკითხა ქალბატონმა.

— არა ქალბატონო, ღმერთმანი არა უპა-სუხა ვარდომ აღევით.

— მაშ რისთვის მანებებ თავს? ხომ არავინ არის გაწუხებს ჩემო ვარდო მითხარი შვილო.

— არა, მაგრამ....

— მაგარი რაღა არი, მითხარი ჩქარა, რათ გინდა განთავისუფლება?

— იქნება უფრო კარგმა კაცმა მითხოვოს-უნდა ეთქო გულის ვარდს, მაგრამ ტი-რილში ვერ გამოთქო.

— რაო, რაო გოგო?

— იქნება უფრო კარგმა კაცმა შემირთოს განუმეორა გულის ვარდმა.

— ჰო, თუ აგრეა ხვალვე თავისუფალი იქნები. მაგისთვის რასა სტირი ტუტუცო? ამალამ ბატონი რომ მოვა ვეტყჳ და ხვალვე წიგნს დაგიწერინებ, სად უნდა იცხოვრო?

— ჩემ დედიდასთან.

საწყალმა გულისვარდმა ამითი დაიწყო ტყუილის ლაპარაკი. აქამდინ არც ერთხელ არ ეთქო განზრახვით ტყუილი.

მეორე დღეს განთავისუფლებული გულისვარდი მიადგა ჩუჱნ ნაცნობ კარს ავლაბარში და დაუწყო კაკუნი. შიგნიდგან ხმამ

შეიპატიჟა.

ნუ შეხვალ საწყალო გულისვარდო, დაიწერე პირჯვარი, ახსენე ღმერთი, შეა-ფურთხე ეშმაკს და გაბრუნდი უკან. არ ეს-მის. შევიდა საწყალი გულის ჰვარდი.

— რაო, შვილო მოიფიქრე? კითხა მო-ხუცებულმა დედაკაცმა რო შევიდა გულის ვარდი.

— მოვიფიქრე და გადავსწყვიტე, რო უნდა ვისწავლო, უპასუხა გულის ვარდმა.

— ბარაქალა ქალო, მე არა მგონებიხარ უთხრა უნცროსმა.

— ეს რაღა კარგს შვრება. ყმაწვილებო ხართ ჯერ თქჳენ საწყლებო, სისხლი გიდუღთ, უპასუხა მოხუცმა ორთავ, — კარგი შვილო, მიუბრუნდა გულის ვარდს, — თუ არ დაგიშლია გადმოდი ჩჳენთან, ღმერთმა ქნას, რომ არ ინანო ეს შენი განზრახვა.

— ხვალვე გადმოვიტან ჩემს ბარგს. უპა-სუხა გულისვარდმა.

ამის შემდეგ მთელი ერთი წელიწადი იმსახურეს ამ მკითხავებმან გულის ვარდი, მაგრამ მკითხაობისა არა ასწავლესრა.

— ყმაწვილია, ქარი გაუა თავიდგან და მერე ვიდეც დამიმადლიებს, რომ არ გავრიე ჩჳენ ცოდვებში. ამბობდა მოხუცებული, მაგრამ იმ ერთი წელიწადის შემდეგაც

არა სჩანდა ცვლილება გულის ვარდის გან-
ზრახვაში.

—ამ ერთი წელიწადის შემდგომ მო-
კვდა მოხუცებული მკითხავი და უფროსმა
ჰპოვა, რომელ გულის ვარდის დათხოვნა
ამის შემდეგ აღარ შეიძლებოდა და ამისთვის
რაც კი რამ საიდუმლოებები იცოდა მკითხა-
ობისა სულ ყველა ასწავლა და მიაჩვია კი-
თხვა ყოველთათვის ვინცკი მოვიდოდა საკი-
თხავათ. აღარ გამოვიდა ბევრი ხანი, რომ
დაბალ ხალხში დაიწყეს ლაპარაკი ვარდუას
მკითხაობაზე და საშინელმა ხალხმა დაიწყო-
დენა საკითხავათ.

ამ წელიწადს შემდეგ გულისვარდი,
აჩრდილი უწინდელი გულის ვარდოსი, და-
ჭმუჭნული და გამხდარი პირის სახით, იჯდა
ორ ატლასიან მუთაქას ბალიშებით მორთულის
სახლში და უკითხავდა რამდენიმე პირთ.
რამდენიმე ქართლელები და კახური თავადის
შვილები, მოსულნი მხოლოდ იმისთვის, რომ
ეკითხვნებინათ ვარდუასთვის, იჯდნენ მეორე
ოთახში და ელოდნენ თავის რიგს.

—მე აქ ვერ გეტყვით რაც მინდა, უთხ-
რა ერთმა გასათხოვარმა თავადის შვილის ქა-
ლმა, რომ შევიდა ვარდოსთან, და გაწითლე-
ბულმა დაღუნა თავი.

—მიბძანდი მაგ მეორე ოთახში, ეხლავ

ჭაიხლიები.

—ქალი გავიდა.

—რავქნა დედიჯან, არ ვიცი, როგორ შევატყობინო მე ჩემი მწუხარება, უთხრა იმან ვარდუას რო შევიდა ისი.

—რატომ შვილო, რა არის იმისთანა?

—შენ ვერ გაიგებ ჩემ მწუხარებას. ჩემ მწუხარებას იგრძნობს მხოლოდ ის, ვისაც თითონ გამოუცდია, მაგრამ შენ.... შენ იყურები ისე, რომ შენ არ იცი რა არის სიყვარული.

—სიყვარული? ჰო, მე მაგისი არა ვიცი რა, მე სიყვარულისა არა ვიცი რა, არაფერი; ჰსთქო ვარდომ სიჩქარით და დაღონებით.

—აკი გითხარ? მე თუ არ მიშველიერა მოვკვდები. მიშველე რამე დედი, შენი ღვთის გულისათვის, გულამოსკდარმა უთხრა, ქალი მისწვდა და აკოცა ხელზე.

—ვინ არის შენი შეყვარებული?

ქალმა უთხრა.

—ნუ სტირი, ღმერთი მოწყალეა, მოვახერხებთ როგორმე, შეგიყვარებს შენ შენი საყვარელი, მაგრამ ქორწილშიკი უნდა დამპატიჟო.

—ჰო უთუოთ, უთუოთ, ღმერთის გეფიცები, ოღონკი ნეტავი ამასრულიოდა!

გულის ვარდმა აასრულა იმ ქალის თხო-

ვნა ერთ კვრის ყუკან ყოთილისმლით.

—აბა მიკითხე ჩემო ვარდო, ჩემი ალექსანდრე რას იქს, ერთი თვეა წიგნი არ მომსვლია,—ეუბნებოდა ვარდუას უწინდელი იმისი ქალბატონი, რომელიც შემდეგომ შეცდომისა ვარდუას ქელობისა არათუ აშვარა სიყვარულით, არამედ სიყვარულითან იგრძნო იმ ნაირი შიში იმისა, რა ნაირათაც ეშინოდა თავისის ქმრისა.

ვარდუამ გაშალო ქერი.

—ალექსანდრე ქალბატონო, ეხლა ცხენზე ზის და ჯირითობს. აი მეფეც იქ არის და უყურებს ყმაწვილების ჯირითობას. აი, ალექსანდრემ გააჭენა ცხენი, ოჰ, ბარათიანთ თემურაზი გამოუდგა, ესროლა ჯირითი. ყოჩაღ ბატონო! ჯირითი დაიჭირა და გააბრუნა ცხენი. გააჭენე თემურაზს ცხენი, გააჭენე, მოკიდა, დაეწია ბატონი, ოჰ შიგ ბეჭებში არ მიარტყა საწყალის, აი მეფემ აქო ალექსანდრე. ქალბატონო! უყურებ მეფემ აქო ალექსანდრე. სხვა რაღა გინდა?

—არაფერი შვილო, მადლობელი ვარ, განცვიფრებულმა უთხრა ვარდოს.—მე აღარ შევაწყენ თავს გულისვარდოს მოთხრობითა. მოვახსენებ მხოლოდ, რომ ვარდომ იმ დროს შეიტყო ბევრი რამ იმისთანა, რომელიც იყვნენ შესარცხვენელნი კაცთა ჩმო-

მავლობისათჳს.

გავიდა კიდევ ათი წელიწადი. ათი წელიწადი! ხუმრობაა ათი წელიწადი? ამ ათ წელიწადში დაიხოცნენ ბევრი მათგანი, ვისთანაც გვქონდა ჩუჱნ შემთხვევა გაცნობისა ამ მოთხრობაში. დარჩნენ მხოლოთ თავნი პირნი. დუერმიშხანი თავის ცოლშვილით, ესე იგი ერთი შვილით და ვარდო თავის განთქმულის მკითხაობით. დარჩნენ ისე, როგორც ორი ფალავანი შუა მეიდანზე მომზადებულნი დასაჭიდავათ. ვნახავთ ვინ ვის მოერევა.

VI.

აპრილის საღამოს ის იყო ჩავიდა მზე სურამის გორას იქით და იქიდგან შადრევანივით ისროდა სხივთ, რომელნიცა ერეოდენ რა ჰაერს ხდიდნენ იმას ცეცხლის ალივით. ბუნება, ვართული მზის სალბაში, არცა ერთი ნიავი არ შეარყევდა ფოთოლთა. აქა იქ მოდიოდა მხოლოდ ჭივჭივი ყოველთჳს მოუსვენართ ჭივჭავთა, რომელნიც ღამისთჳს ეძებდენ მოხურხებულ საჯდომსა და ამიტომ ერთმანერთს ართმევდნენ ალაგებს. მენახირებმა ის იყო ტყიდგან გამორეკეს ნახირი შოლტის ტლაშატლუშით და სიმ-

ლერით მოუდიოდათ შინ. ნახირი მოდიოდა შინ გაჩქარებული ჩუმათ, მხოლოდ აქა იქა შებღავლიოდნენ ხომე დროითა და დროით ძროხები მეტმეტი თავიანთ ხბორების სიყვარული რო მოაგონდებოდათ ხომე მაშინ. რამტენსამე დედაკაცს მხარზე უდგათ კოკები და დამწკრივებული მიემურებოდნენ წყალოზე დუმილით.

ამ დროს დურმიშხანის სახლის გვერდით მწვანე ხავერდივით მინდორზე ძვირფასი ხალი იყო გაშლილი და იმაზე იყო წამოწოლილი ჩვენი დურმიშხანი ცოტათ მზისგან გაშავებული და ხმელი პირისახე, ეგრეთივე და ძარღვიანი ხელები და სრულებით გამხდარი ტანი აჩვენებდნენ რო ეს კაცი არ იყო შინ მჯდომის მოყვარე. ხოლო რამტენიმე ხანი პირისახეზე და ჭაღარა თმაში და ულვაშებში უმოწმებდენ, რო დრო არა ყოფილი იყო უსაქმო და დაედო ამაზე თავისი ბეჭედი. მაგრამ რასაკვირველია ეს, ჩვენ ვხედავთ დურმიშხანს თითქმის ოც წელიწადის შემდეგ.

დურმიშხანმა ის იყო მოსწია ერთი ჩიბუხი მშვენიერის სტამბოლის თამბაქოთი, გადააგდო ჩიბუხი იქით, გადაბრუნდა გულაღმა და დაუწყო ყურება მოწმენდილ ფირუზივით ლია ლურჯს ცას. იმან უყურა,

უყურა ცას და ჩაფიქრდა. იმას მოაგონდა თავის სიყმაწვილე, ის სიყმაწვილე, როდესაც დადიოდა ვონკებში და ყველა მასხური სცემდა თავში, მოაგონდა შემდეგ პირველი გაცნობა გულისვარდისა, იმისი სიყვარული.

— რა მრიელი ყუვარდი საწყალის? — ფიქრობდა დურმიშხანი, რო ის არა ყოფილიყო. ხომ არ გამანთავისუფლებდა ბატონი. რა კარგათ მოვიქეც, რანაირათ ვაჩვენე თავი, რომ შითომ მიყვარდა. მაგრამ ღმერთმანი ღირდა სასიყვარულოთ. რამტენი ვატყუე საწყალი, რო მოვალი მეთქი. მართალი ფული რო დავპირდი უკანასკნელ წიგნში რატომ არ გაუგზავნე? ეჰ რათ უნდა ფული, ჩემთვს უფრო საჭიროა. ნეტა სად იქნება ეხლა საწყალი? ვინ იცის, როგორ დაბერდა, როგორ გაფუჭდა. ნეტა მომიგონებს ხომე კიდევ? მომიგონებსკი არა და მგონია ერთმა ბიჭმა ვინმემ შეირთო და შვლებით აივსო, სად ეცლება ჩემ მოსაგონებლად. საწყალი ოსმან ალა აბა თუ ერთი ვაწირვინე იმისთვს, აბა თუ ერთი სანთელი აუნთე. სირცხვილი შენთვს ჩემო თავო! იმ საწყალმა ნახევარი თავის ქონება მოგცა, იმისი წყალობით ხარ ასე ბედნიერი. რავქნა, ღმერთმანი ფულებიკი არა მშურს, მაგრამ

მოცლია არარის. რა ყუდო. ვაჰ! რა საშინელი იყო სიზმარი, მოსაკლავათ რომ მოჰყვანდით, რა ნაირათ შემომხედა, თითქო მეხვეწებოდა რასმე. რა იქნებოდა რომ დამემარხა? მე და ჩემმა ღმერთმა არ ვემართლები...

— მამაჩემს ვახლავარ, — უთხრა ერთმა ყმაწვილმა კაცმა, რომელიც ის იყო მოვიდა სიღლამაც და შორიახლო ჩამოხტა ცხენიდგან.

— ოჰ შვილო ზურაბ, შენ? — წამოიძახა დურმიშხანმა, წამოხტა ყმაწვილივით და აკოცა პირზე, — რასაიქ შვილო, ხო კარგათა ხარ?

— კარგათა ვარ, დედა სად არის?

— აქ არის, ჯერ არ გინახავს?

— არა, პირ და პირ შენთან მოვედი.

— ბარაქალა შვილო. ყოველთვის წინ მამა უნდა გაახარო ხოლმე. სხვა რა ამბავია, როგორ რასმე მოიარე, როგორ რასმე დახვედი ამხანაგებში?

— ნუღარ მეტყვი მამავ, აღარ შემიძლიან ამ საშინელი ამპარტავანთ თავადებში ცხოვრება.

— რა არის, რას გიშლიან ისენი?

— რაღა რა არის? ხმას ამოვიღებ, თუ სუმბრობაში ანუ რაშიმე გავერევი იმათში, მაშინვე ჭირისავით მომშორდებიან ხოლმე

და დაიწყებენ ზუტზუტს: კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ ნახირით.

— რა ტომით? რითი გჯობიან შენ ისინი. შეძლებით, სილამაზით, გაზდილობით თუ ვაჟკაცობით?

— არც ერთით.

— მაშ რა უნდათ? რითი გჯობიან?

— ჩამომავლობით.

— ხმ, ჩამომავლობით.... ჩამომავლობით, ჩაფიქრებით განიმეორა დურმიშხანმა, — აბა ერთი ჰკითხე იმათ, მამათაგან თავის კაცობით ვინ იშოვა ყმა და მამული, ვინ იშოვნა იმტენი ფულები, რომ რომელიც უნდა თავადისშვილის მამული იყიდოს.

— დურმიშხანი თავის გამდიდრებას აწერდა მხოლოდ თავის ვაჟკაცობას.

— მაგას არა ფიქრობენ, უპასუხა ზურაბმა.

— შენი ვალია, რომ ჩააგონო. იმათი მამები არ არიან, რომ მეხვეწებიან ხომე შვილის მონათლვას, იმისთვს, რომ ელიან კარგს კუნკულას. როცა ფულები სჭიროდებათ დაბლა მიკრამენ თავს? მოიცადონ! შენ ეს მითხარი, მეფემ ვერსად შეგნიშნა?

— ვერსად. არსად მოხდა იმისთანა შემთხვევა. მაგრამ ეხლა რაღასაც იძახიან, მითომ ომი იქნებაო, აბა მაშინ შევიტყობთ ვინ კუ ყოფილა და ვინ ლომი.

—შენკი განაცვალე შვილო, იმედი მაქჳს შვილო, რომ მამა შენი არ შეარცხვინო; მაგრამ ეგ რა სთქვ? ომი? ვისთან უნდა იყოს ომი?

—არ ვიცი, მგონია, რომ ოსმალოებთან უნდა იყოს, მაგრამ სწორეთ არავინ არა იცისრა.

—ეგ ვერაფერი ამბავი მომიტანე შვილო. შვილო, ომი ვაჭრობის მტერია. უეცრათ რომ ომი მოხდეს დავიღუპებით.

—აი ავი გითხარი, თითქო მე ვიყო ომის მიზეზი იმნაირ საყვედურს მეუბნება.

—კარგი, კარგი, ბარაქალა,—და დურმიშხანი დაღონდა. დაინახა რა ესე ზურაბმა გამოესალმა და წავიდა დედასთან. დურმიშხანმა რომ შეხედა მიმავალ ზურაბს და დაინახა მშვენიერი ვაჟკაცის ტანი სიამპარტავნით გაიღიმილა.

—რასაკვირველია შეიშურებენ ჩვენი თავადისშვილები; ვინ იქნება იმათში ჩემი ზურაბისთანა, სთქვა სიამაყით დურმიშხანმა თავის გულში და შემდეგ დაიწყო ფიქრი თავის ვაჭრობის საქმეზე,—ესკი ავი ამბავი მომიტანა ჩემმა ბიჭუკამ, თუ ხვალვე არ მივეშველე ჩემ ქონებას სულ დავიღუპები. აბა მაშინ დურმიშხან აზნაურ შვილობა!

მეორე დილით დურმიშხანი ადგა ადრე

გაიყოლია თავისი ოსმალოთაგანი სამი ბიჭე-ბი და გასწია სტამბოლისაკენ.

მიდის დურმიშხანი ქონების შესაძინებ-ლად, ის კი არ იცის რა ნაირი უბედურება გროვდება იმის თავზე.

ბევრი დრო არ გამოსულა დურმიშ-ხანის წასვლის შემდეგ რომ მეფემ დაიბარა თავისი პირველი ვეზირი და უბრძანა საქარ-თველოს საზღვრების გასინჯვა ოსმალოს მხრისკენ და სადაც საჭიროთ ჰპოვოს ააშენოს ციხეები. ვეზირი წამოვიდა, გასინჯა საზ-ღვრები და სხვათა შორის პოვა ციხის აშე-ნების საჭიროება სურამში. მაშინვე საჩქა-როდ მოაგროვეს მასალა, დაიწყეს კირი და შეუდგნენ შენობას.

—აბა და ახლა თუ იქნება რამე უთუოთ უნდა გამოვიჩინო თავი, —სთქო ზურაბმა და ამ აზრით მიაშველია რამდენიმე ურემი. მაგრამ საკვირველი იყო, რამდენჯერაც აი-ტანეს ის ციხე ერთი ხუთიოდ ადლამდე, იმდენჯერ იჭექა და გასკდა შუაზე, რაღაც ავი სული უშლიდა იმ ციხის გაკეთებას. მღვდელს ახდევინეს პარაკლისი, მაგრამ მაინც კიდევ არ იქნა, მაინც კიდევ გასკდა კედელი. უკანასკნელ ყოველი ღონის-ძიება მოიხმარეს, მაგრამ არაფრით არა იქნარა; კედელმა თავისი არ დაიშალა. რა ქნან? მოდი

ერთი მკითხავს ვაკითხვინოთ, წამოიძახა ვა-ლამაც.

—მკითხავს, მკითხავს? დაიძახეს ყველამ ვინცკი ახლოდა ვეზირს.

მოახსენეს ეს აზრი ვეზირს, ვეზირმა მოიწონა, მაგრამ საქმე დადგა იმაზე ვისთვის უნდა გვკითხვნებინათ. ვინ იყო იმისთანა განთქმული მკითხავი.

—ავლაბრელი ვარდუა, წამოიძახეს რამდენიმე პირთა.

—საკვირველი რამ არის. ერთხელ ისეთი რამ მითხრა, რომ ის საქმე მე და ღვთის მეტმა არავინ იცოდა, ჰსთქო ერთმა.

—მეც კაცო? უპასუხა მეორემ.

—მეც, დაიძახეს რამდენიმე.

—ერთხელ ჩემი დედაკაცი ყოველიფერი და საკვირველი რამეებს მოსთქომდა, დაასრულა ვეზირმა.

—მაშ მოდი და წავიდეს ვინმე საკითხავათ. არა ვეზირო? ჰკითხა უფროსმა თავადისშვილმა.

—წავიდეს, წავიდეს, რაც ჩქარა იქნება ის სჯობია, ჰმანა ვეზირმა.

მაშინვე ერთი ყმაწვილი თავადისშვილი შაჯდა ცხენზე და თავისი ბიჭებით წამოვიდა ვარდუასთან ქალაქში. რომ მოვიდა გულის ვარდოსთან, იმისთანა პოვა რამდენიმე პირნი,

მოსულნი საკითხავათ. ჩვეულებისამებრ ყმაწვილი კაცთა და უმეტეს იმისთანა ზარითა, რომელთაცა აქვსთ მინდობილი საჴელმწიფო საქმე, ელჩმა გაყარ-გამოყარა ყველანი და მივიდა ვარდოსთან.

—რა გინდა შვილო? ჰკითხა ვარდომ.

—ვეზირისაგან ვარ გამოგზავნილი, მიკითხე ჩქარა.

—რაზე შვილო? მითხარი.

—ყმაწვილმა უთხრა. და რო გაათავა და ჩაჩუმდა, ვარდოს მოუვიდა ღიმილი.

—აბა ქალო მოვიდა შენი დრო ჩემო თავო, თუ რამ შეგიძლიან სთქო ვარდომ თავის გულში და ჩაფიქრდა.

—ბევრს ნუ ფიქრობ ჩემო ვარდუავ, ჩქარა მითხარი, უთხრა ყმაწვილმა.

—არა შვილო, სიჩქარით საქმე არა გაკეთდება, და არც თუ ცისე ამენდება. ჯერ მითხარი.

—მკითხე ჩქარა რაც გინდა, დაუყოლია ყმაწვილმა.

—ჯერ მითხარი სურამში ჰსცხოვრებს ვინმე ვაჭარი დურმიშხანი?

—ჰსცხოვრებს.

—შვილი რამე ჰყავს?

—როგორ არა, ერთი ჩემი ტოლი და ამხანაგი მშვენიერი ყმაწვილი ზურაბ.

—ვარდო, ახლა წადი და უთხარი ვეზირს, რომ თუ თითონ არ მოვიდა კითხვა არ შეიძლებათქო. უთხარი რომ მე ვთხოვ იმას მოსვლას ჩემთან თუ საქართველოსთვის კეთილი უნდა.

—რას მეუბნები დედაკაცო? მითხარი რამე ასე ვერ წავალ.

—არა შვილო შენთვის არ იქნება თქმა, შენ დროს ნუ ჰკარგავ ჩქარა წადი, საქართველოს ბედი ეხლა შენზე არის დამოკიდებული, და ის ყმაწვილი თითქმის მალვით გამოაგდო კარში.

—მაშ რა ვქნა, რა უთხრა ვეზირს?

—უთხარი, რომ თითონ მოვიდეს, საჭირო არისთქო,

ყმაწვილმა, მაშინვე შეჯდა ცხენზე და გასწია უკან. გულისვარდი ჩაფიქრებული შემოვიდა შინ და მოლოდნელნი ყველანი დაითხოვა; უთხრა, რომ მისულიყვნენ ხვალ. იმავ დღეს გავარდა ქალაქში ხმა, რომ ჯარიდგან მოვიდა კაცი ვარდოსთან საკითხავათ და იმის შემდეგ ვარდუა დაჯავრიანდაო.

—აბა ჩემო თავო,—ფიქრობდა ვარდო,—აბა ეხლა მოვიდა დრო შენი შურისძიებისა. აბა თუ შეგიძლიან რამე, ახლა შეგეტყობა... ჰი წყეულო იყავ დურმიშხან, რისთვის დამღუპე მე საწყალი, რა გინდოდა ჩემგან

რა დავიშავე, რისთვის მომიყვანე ამ მდგო-
მარეობაში? საწყალო ჩემო თავო! დალუ-
პილო ხორციით, სულიითაც უნდა დაილუპო,
და დაიწყო საწყალმა ტირილი მწარედ, —
აი მე ლაჩარო ჩემო თავო! შეგეშინდა,
ცოტა ხანს შემდეგ ისევ დაიწყო ლაპარა-
კი, — აბა შენი გულის მკვლელი ჩავივარ-
და ჴელში, აბა რა წვალებას მოუგონებ.
იმის სიკვდილი? ცოტა იმისთვის. დეე
ეწვალოს ისე, როგორც მე ვეწვალე ამ
ოც წელიწადში.

— ვეზირს როგორცკი მოესმნენს ამ მკი-
თხავის პასუხი, მაშინვე შეჯდა ცხენზე და
შინაც აღარ მიბრუნდა ისე პირ და პირ მი-
ვიდა ვარდიასთან.

— აბა, ჩემო საყუარელო, მიკითხე რა
უნდა ვქნა?

— შენ ზმანდები ვეზირი? ჰკითხა იმას
ვარდიამ.

— მე ვარ.

— აბა თუ შენ ზმანდები და პასუხისგებაც
შენა გაქუს ბევრი. საწყალო ბატონო! რა
ავ დროს გრგებია შენ ვეზირობა. ღმერთო!
რას ვხედავ? წყეულნო უსჯულონო სად
მოსდისართ, რა გინდათ ჩუენი საწყალი
საქართველოსაგან. ღმერთო? რა დავაშავეთ
და შევცოდეთ, რისთვისა გვჯი ასე საშინე-

ლიათ? ვაი, ვაი, რამტენი მოდიან, ღვთის მშობელო დედაო, შენ დაგვიხსენი. ღმერთო! ჰხოცვენ, აი დედებს ართმევენ შვილებს და ქათამივით ჰფლეთენ. ნუ მისცემ საწყალო ქალო! ნუ მისცემ შენ შვილს. ოჰ! წაართო წყეულმა. უშველე, ბატონო, უშველე, თორემ დავიღუპებით.

—რავქნა მითხარი, ოცნებით უთხრა ვეზირმა.

—აი ვხედავ, განაგრძელია ვარდუამ, უსჯულოთ ჯარი შემოეხვევა ჭიანჭველისავით სურამის ციხეს. ჩქარა, ჩქარა ააშენეთ. ხოლოთ ის დაიჭერს ჯარს. თუ რომ ის არ არის აქ მოვლენ. ღმერთო! რა მოგვივა მაშინ? შენი წვრილი შვილი მაინც შეიბრალე ბატონო შენი წვრილი შვილი, ნუ დაახოცინებ უსჯულოთ, და ვარდუამ დაიწყო ტირილი, მართლა ტიროდა თუ ტყუილათ არ ვიცი. ოც და ერთი წელიწადში ისწავლა ისეთი აკტიორობა, რო ღმერთმა შეარცხვინოს იმისთან ეხლანდელი განთქმული აკტიორები.

—რავქნა, რა უნდა ვქნა მითხარი ჩქარა, უთხრა ვეზირმა.

—უნდა როგორმე ააშენო სურამის ციხე.

—ავი ვაშენებ, მაგრამ მექცევა, რაუყო?

—ამოუყარე ის სამირკველი, რომელიც

ჩაგიყრია, ორ ადლიზე კიდევ მოთხარე. გა-ანათვლიანე მღჳდელს, მაგრამ ეს რას ვხედავ? ღმერთო, შენ დამიხსენ. ბატონო, ამოიღე ხანჯალი და აქვე მომკალი, მადლი იქნება შენთჳს, ჵი წყეული იყოს ის დღე როცა დღესაც მე მკითხაობა დავიწყე, ბატონო ნუ გაიგონებ რასაც გეტყჳ. არა, გაიგონე, კარ-გა ყური დამიგდე, რასაც გეტყჳ საჭიროა, რო იცოდე. იმის ასრულებაზე ჰკიდია სა-ქართველოის ხსნა; საქართველოის გამარჯვება.

— მითხარი შენი ღჳთის გულისათჳს, მითხარი ჩქარა.

— ციხეში, ხურდის მაგიერათ, დედის ერთი ვაჟი უნდა დატანოთ. დურმიშხანის ვაჟი ზურაბი.

— როგორ თუ ვაჟი, როგორ თუ ზუ-რაბი, რას ანბობ დედაკაცო, შეკრთომით კითხა ვეზირმა.

— ზურაბი, დიახ ზურაბი უნდა დატანო კედელში, უიმისოთ კედელს ვერ ააშენებ. ჵი დედამიწავ გასკდი და ჩამიტანე, რო იმისთანა სიტყჳა ამოვიდა ჩემი პირიდგან, შე საწყალო დედა ჩემო, რათა მშობე ქვე-ყნის საწყევად.

— რათა დედავ, შენ რასაც ხედავ იმას ანბობ, შენი რა ბრალია, დაღონებით უთხრა ვეზირმა და საშინლად ჩაფიქრებული გამო-

ვიდა იქიდგან და შინაც აღარ მიჰხედა ისე წავიდა ყეან.

— ვაროგს მლოუწნს არ მიუცვანს ჩემს დურ-მიშხანს ვეზირი. ნეტავი იკითხოს მაინც ვინ გაუგზავნა. დემე გაიგოს რაც შეუძლიან საწყალი გოგოს. სუს ჩემო გულო! ოცი წელიწადი მეცია ღმერთის ვავედრე, რის მაშინებ მე იმითი......

VII.

მიდის ჩუენი ვეზირი სურამს საშინელი ჩაფიქრებული და დაღონებული, მზე კი მხია-რულითი იყურება, თითქო იცინის კაცის მწუხარებაზედ, ვითომც არაფერი კავშირი არა აქვს კაცთა ცხოვრებასთან. ვეზირი რომ მივიდა სურამს იმავე დღეს გასცა ბძანება, რომ იმავე დღეს მთელი საძირკველი ყოვლი-ფერ სული ამოეყრიათ და საძირკველი მოთხ-რილიყო ვიდრე ორ ადლიზე. ბძანება რასა-კვირველია მაშინვე აღასრულეს და მეორე დღეს, შემდგომ პარაკლისის გადახდისა ჩაყარეს ახალი საძირკველი და ამოიყვანეს მიწის პირ და პირ. საქმე მივიდა იქამდინ, როცა ვეზირს უნდა გამოეცხადებინა ყვანა-სვნელი რჩევა მეითხოვა.

ძნელია ოდესმე ვალდებულება უბირაცე-

ხოა ამა ქვეყანისათა. რა სიხარულითა დაუტევებდა საწყალი ვეზირი თავის თანამდებობას, ოღონდ კი ამას ნუ გამოაცხადებინებდნენ და ნუ გარყვედნენ ამ საშინელ საქმეში. მაგრამ რა ჰქნას? მამული არის განსაცდელ'ში, ჩუმათ უნდა იყოს გული, სჯობს ერთი მოკვდეს მამულისათვს, სანამ დაიხოცნენ ათასნი. ამ ფიქრებით გამაგრებულმა ვეზირმა დაუძახა ოსტატებს.

— რასაც გიბძანებთ თქუჱნ ბერო უნდა ასრულოთ დაუყოვნებლად, — უთხრა იმათ, — ვინც ჩაფიქრდება, ან აუკანკალდება ველი ასრულების დროს, ის მაშინვე ჩემი ბიჭებითგან მოიკვლება. გესმით?

— გვესმის შენი ჭირიმე, უთხრეს ოსტატებმა.

— წადით, ახლა კი ამის მეტი სათქმელი არა მაქჳსრა, შენ კი ბერო აქ მოიცადე, უთხრა ვეზირმა ოსტატების უფროსს.

— მიბძანე შენი ჭირიმე.

— სასიამოვნოს არას გეტყვი ჩემო ბერო, უთხრა იმას ვეზირმა, რაც უნდა გითხრა ისე საშინელია, რო ვერცკი მითქომს.

— როგორათ შენი ჭირიმე, სასიამოვნოა თუ არა მიბძანე შენი ჭირიმე და თუ იმისი ასრულება ჩემზე ჰკიდია, კარგათ მოგესხენება რო თავს არ დავზოგავ.

— კედელში ცოცხალი კაცი უნდა დაა-ტანოთ, სიჩქარით ჰსთქო ვეზირმა.

— ნუ მიბძანებ შენი ჭირიმე, შეკრთომით წარმოიძახა ბერომ.

— რავქნა მმაო, მამულის კეთილსმდგომარეობა ითხოვს ამ მსხვერპლს, უიმისოთ ციხეს ვერ ავაშენებთ. ერთი სიტყვით მზათ იყავი. ახლავე წადი.

— ღმერთო! ცოცხალი კაცი კედელში, ჩაფიქრებით სთქო ოსტატმა, გამოდიოდარა ვეზირიდგან.

ვეზირმაკი დაიბარა ვინც თავადისშვილები იყვნენ და, გამოუცხადარა ყოველივე იმათაც, უბძანა რამტენსამე, რომ იმათ მიეყვანათ სადა უნდოდა ზურაბი, ხელი ეტაცნათ, შეეკრათ და მიეცათ ჯალატოზებისათვის, ხოლოდ სხვათა უთხრა, რომ ამ დროის ჯარი მზათ ყოფილიყვნენ და შემოხვევიყვნენ იმ ადგილის სადაც მოხდებოდა ეს საქმე.

შემდგომ რამტენიმე ხანისა ზურაბი მკვდარივით ყვითელი ხელებ შეკრული იდგა კედელში და ჯალატოზები სიჩქარით აშენებდნენ იმის გარშემო კედელსა.

— ღმერთო! რა დავაშავე, რისთვის მმარხამთ ცოცხალს, ღრიალითა და ღრიალით ამოიძახებდა ხოლმე ზურაბი დასუსტებულის ხმით.

კეთილი თქვა, თორემ ავი ხმა ჩქარა

გავარდება ხომე ქვეყანაზე. ზურაბი არ ამო-ეშვებინათ მოუხლოამდისინ რომ იმის დედა მორბოდა ციხისაკენ თმა გაშლილი.

—არიქა მაგრა შეკარით არ დაანახოთ საწყალ დედაკაცს, დაუმალეთ ჯარს.

—გამიშვით, თქვენი ღვთის გულისათვის, გამიშვით, შვილო ზურაბ სადახარ! ვის რა დაუშავე, რას გემართლებიან გენაცვალოს დედა! გამიშვით ქრისტიანნი ვინახართ ჩემ შვილთან; იმასთან დამმარხეთ, იმასთან მომკვა-ლით.

—ნუ გეშინიან დედი, არ მოჰკლავენ, გულადობაში უნდა გამოსცადონ, უთხრა ერთმა ჯარის კაცთაგანმა დაღონებით.

—გამიშვით ჩემ შვილთან, გამიშვით ჩემ ზურაბთან, იმასთან ზურაბის დედა დ მიიწე-ვდა იმასთან.

ზურაბმა გაიგონა დედის ხმა.

—მაშველო დედი, შენ ზურაბს ცოცხა-ლის მარისმენ დაუძახა დედას ზურაბმა.

—შვილო ზურაბ სადამდინ?

—ვაიმე დედავ მხრებამდინ, უპასუხა ზუ-რაბმა.

—კარგი, არ გყოფა? არ შეიწყალეთ იმისი გულადობა. მომეცით შვილი, მომე-ცით ჩემი ზურაბი. შვილო ზურაბ სადამ-დინ!

— ვაიმე დედავ გავთავ... აღარ დაასრულებინებს და მსწრაფლი დააყარეს რამდენიმე თაბახი კირი.

— ვაიმე, — შეჰკივლა ზურაბის დედამ და მკჳდარივით დაეცა მიწაზე.

— გულშეწუხებული წაიღეს საწყალი შინ და თითქმის გამოვიდა სამი საათი, რომ ძლივს მოაბრუნეს გულისწუხილობიდგან.

— ახ, ნეტავი მომაგონა, რაღაც დამავიწყდა ქა? ჰსთქო საწყალმა ზურაბის დედამ გულისწუხილობიდგან რო მობრუნდა და გაიღიმილა ერთი იმ ღიმილით, რომელიც ტირილს უფრო მიემგზავსება, ხანამ სიცილისა. საცოდავი შესცდა ჭკუაზე.

— შე საწყალო, რაღა უნდა მოვაგონდეს. შენი ზურაბი ცოცხალი დამარხეს, დაიწყო ერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა და მოძახა ტირილით.

— ახ, ნეტავი მომაგონა, — ჰსთქო ზურაბის დედამ და თავისი ამღვრეული თვალებით უჰაზროთ შეხედა იმ მოხუცს.

ამ დროს დურმიშხანი მოდიოდა შინ ფრიად დაღონებული და გულმოკლული, თუმცა კი არა ჰქონდა იმის სწორე მიზეზი ჭმუნვისა. სასარგებლოთ გაათავა თავისი ვაჭრობა, ჯიბე აავსო ფულით, მიდიოდა ცოლშვილში, რომელიც არ იყო რო

უყვარდა, უმეტესად შვილი, ვგონებ, რომ არა ჰქონდა მიზეზი ჭმუნვისა, მაგრამ ამბობენ გული მისანიაო.

დურმიშხანი რომ მოახლოვდა სურამს და დაინახა სურამის ციხე თითქმის გათავებული, ჰსთქო თავის გულში:

—ეტყობა აღარ ხუმრობენ შენმამზემ! შეხედეთ რამოდენი ციხე აუშენებიათ, ეტყობა რომ საშინელი ომი უნდა იყოს. ახლა თუ გინდ მთა მთას ეხალოს, მე ჩემი საქმე გავათავე. ნეტავ ვინ იქნება ამ ციხის კეთებაზე ზედამხედველი? ნეტა ზურაბმა დაჰპატიჟა? უნდა ეთხოვნა ჩუენსა დამდგარიყო შემდეგ გამოადგებოდა: მაგრამ უჩემოთ ვერ გაბედამდა. ჯერ ყმაწვილია, არ იცის ანგარიში. ეხლა მე რომ მივალ ჩემ მისვლაზე გავაკეთებ სადილს, დავპატიჟებ და გავიცნობ ვინც გინდა იყოს. ერთი კარგი სტამბოლური ნივთი რამ რომ მივართო ფეშქაშათ? მაშინ ხომ სულ დავავალებ.

ამ ფიქრებით დურმიშხანი მიადგა თავის სახლს. მოსამსახურეებმა და რამდენიმე კაცმა იმ სოფლის მცხოვრებთა დალოცვებით მიიღეს ის. რა არის ეს? უწინ რომ მოვიდოდა ხომე სულ ყველანი დიდი და პატარა მოეგებებოდენ იმას მხიარულათ, არ იცოდნენ ვის ცხენი გამოერთო, ვინა შეელიყო ცხენის

ჩამოსვლიდამ. ახლაკი თუმცა რომ მიეგებნენ, მაგრამ რა არის ეს კაეშანი? დურმიშხანმა რომ დაინახა ეს, თავზარი დაეცა, ის დარწმუნდა რომ, სახლში მომხდენილიყო უბედურება რამე.

— რა ამბავია, ხომ მშვიდობაა შინ! — კითხა იმან მომგებთა შეკრთომით, — ჩემი დედაკაცი სად არის?

— მიბძანდით შინ, შინ გახლავსთ, უპასუხეს მათ დალოცვებით.

დურმიშხანი შევიდა შინ. სახლში დედამიწაზე გაშლილ საფენზე ისხდნენ რამდენიმე მოხუცებული დედაკაცნი შავებით და შუაში უჯდათ დურმიშხანის ცოლი. უკანასკნელი იყო გართული რაღაც ჰაზრით, ჰსჩანდა, რომ ცდილობდა რაღისაც მოგონებასა. აქეთკენ იდგა მოჭედილი შავი ოლორით და ჯვარით. დურმიშხანმა რომ დაინახა ყოველივე ესე გახდა მკვდარივით, საშინელმა სიყვითლემ გადაჰკრა პირისახეზე და დასუტებული მიეშო ტახტზე.

— რა არის ჩემ თავს მითხარით ჩქარა, — წამოიძახა ტირილით, — მითხარით ჩქარა ნუ მიკლავთ გულს.

იმას კიდევ რაღისაც იმედი ჰქონდა. როგორღაც დარწმუნებული იყო, რომ ეს უბედურება არ ეკუთვნოდა იმის ზურაბს?..

დედაკაცებმა უთხრეს ტირილით ყოვე-ლივე სიმართლით, და დურმიშხანი იმ მინუტს მოხუცდა თითქმის ათის წლით.

—დედაკაცო! რა უყავ ჩემი შვილი, რა უყავ ჩემი ზურაბი? რატომ იმასთან არ მოჰკვდი, შენ საყვარელო ზურაბთან, ვაიმე შვილო ზურაბ! ჩემო იმედო, ჩემო სიცო-ცხლე! იქნება ამხანაგებმა გიმტყუნეს შვილო, შენ ისე სჯობდი იმათ შვილო! რატომ არ უთხარი, რომ მოხუცებული მამაშენი მოე-კლით, შენთან რა უნდოდათ ჩემო თვალის სინათლევ! ვაი ჩემ დღეს?!

—გამხნევდი დურმიშხან,—დაუწყო რი-გება მღვდელმა,—შეხედე შენ მაცხოვარს, რამტენი ტანჯვა მიიღო შენთჳს, მოიგონე რო არის სხვა სიცოცხლე. სიცოცხლე სა-უკუნო, სადაც ნახავ და ყოველთჳს ერთად იქნებით შენ ზურაბთან.

—დედაკაცო! რა უყავი ჩემი ზურაბი, რატომ არ გაუფრთხილდი; მითხარი ჩქარა სად არის ჩუენი ზურაბი?—ტირილით, ჰკითხა ცოლის დურმიშხანმა და გამოსწია კაბის სა-ყელოს.

—ეს ნეტავი მომაგონა, დამავიწყდა, რა-ღაც უნდა მეთქო. უპასუხა იმან და შეხედა თავის ამღვრეულის თვალებით.

—ვაიმე ოჯახო დაქცეულო,—განაგრ-

შელოებდა დურმიშხანი, — ეს რა მომსვლია, ვის რა ვაწყენი, რატომ მე არ მომკლეს, რატომ მე არ წამართვეს ჩემი სიმდიდრე, იმას ვის რა დაუშავა — ყმაწვილ ტრედმა — ვაიმე შვილო ზურაბ! რათ მოგადგა შვილო ეს დღე? სწორე საკვდილი არცკი გეღირსა, სწორე დამარხვა. ცოცხალი დაგმარხეს შვილო, ვაი ჩემს სიცოცხლეს!

— კარგი, გეყოფა დურმიშხან, განა არ იცი, რო მწუხარებით არას მოუმატებ, — არიგებდენ იმას რამტენიმე პირნი.

— დაიცა შვილო თუ ცოცხალი ვარ გიპოვნი შენ მტერს, ვიპოვნი იმას ვინც ეგ დღე დაგაყენა შენ და ვაი იმის სიცოცხლეს.

— მაცხოვარი ჩუენი გვიწყრის მტერთა მიტევებას, — უთხრა მღვდელმა, — თვითონ მოგვცა მისი მაგალითი. ის ჯუარზე ლოცულობდა თავისის მტერთათვს.

მაგრამ მღვდლის სიტყვანი იყვნენ აქ ამაო. იმ დროსვე დურმიშხანმა დაიწყო, რო ხმალვე უნდა წასულიყო იმ მკვითხავის მოსაძებნათ, რომელისაც მისცა ის საშინელი დარიგება ვეზირისათვს, რომლისაც მსხვერპლი გახდა იმისი ზურაბი, და იმისთვს გამოიკვითხა ამისი მიზეზი.

მართალია და არც იგლოვა ჩუენებურათ, არც საყდარში გავიდა ჩვეულებრივ, რო-

ვიდრე ეპიტროპოდა დარბაისელი ოჯახიშვილის, ასე წინად იყო თავის ჩიტორაზს. დურმიშხან ისევ შეაჯდა მეორე დღესვე ცხენზე და გამოსწია აქეთკენ. როგორცკი ჩამოვიდა აქ, მაშინვე იკითხა ვარდუა მკითხავის სახლი. ვარდო ამ დროს ისე განთქმული იყო მთელ ქალაქში, რომ თითქმის პატარა ბავშვებმაცკი იცოდნენ იმისი სახლი და იმისთვის რასაკვირველია პირველსავე შემხვედრმა აჩვენა დურმიშხანს იმისი სახლი. დურმიშხანი მივიდა.

— დაიწყეთ უმაწვილებო ქახილიო, ჭკუა და მეხი, ძალუმხარდენით, დაიმახა დალაინებით ალევქსამ.

— წყეულიო იყავ მეფისტოფელო, უთხრა იმას სავარძ, რომელიც სჩანდა რომ დიდი გულისხმით მიდევნებით უგდებდა ყურს, — თქვ კაცო!

დურმიშხანი მივიდა და იკითხა ვარდო. საკვირველია ვერც ერთმა ვერ იცნეს ერთმანეთი ისე გამოცვლილი იყვნენ ორნივე მემდგომ გაყრისა. დურმიშხანს აჩვენეს ვარდუა.

— არ შეიძლება ცალკე მოგახსენო რამე, უთხრა იმას დურმიშხანმა.

— რაცომ. აი ეხლავ გავათავებ და გიახლები, უპასუხა ვარდუამ.

— თუ შეიძლება დაითხოვე სული ყველანი, მე ბევრი სალაპარაკო მაქვს შენთან, უფრო დურმიშხანზე ამღერებით.

— ბატონი ბძანდებით, უპასუხა ვარდომ, იმან არ უგდო ყური იმის ამღერევას, იმიტომ რო ბევრი შემხვედრიყო იმას ნახვა იმისთანა მაგალითისა.

შემდგომ რამდენიმე მინუტისა ვარდო და დურმიშხანი შეიყარნენ ერთათ ცალკე ოთახში.

— მიბძანე, ბატონო, — დაიწყო დურმიშხანმა, — შენ ჰკითხე ვეზირის, რო ჩემი შვილი დაეტანებინათ სურამის ციხეში?

ამ ლაპარაკში ვარდომ გააპარა ჴელი და გამოიღო პატარა ხანჯალი მუთაქის ქვეშითგან.

— მე ჰკითხე უპასუხა ვარდომ ხრიალებით მშვიდათ.

— რათა შე წყეულო, რათა? რა დაგიშავე?

— დურმიშხან აბა შემომხედე ვერ მიცნობ? შენ მომიკალი გული, მე მოგიკალი შვილი. ახლა გავსწორდით.

— ოჰ! შე წყეულო გულის ვარდო შენა ხარ? ჰსთქო დურმიშხანმა ჩუმათ, მივარდა და ყელში წაუჭირა ჴელები. სიმწარით აღარ მოაგონდა, რომ მოეხმარა სხუა იარაღი.

—მოდი ჩემო დურმიშხან, ოცი წელიწადია ამ დღეს ველი, ჰსთქო ვარდუამ, მოეხვია და ბეჭში ჩაურჭო ხანჯალი.

რამდენსამე საათს უკან მოსამსახურეთ ეპოვნათ ისენი მკვდარნი, მიწოლილნი ტახტზე, როგორც ორი საყვარელი მოხვეულნი ერთმანეთისა. ეტყობოდა, რომ არც ერთი მათგანი არ ცდილი იყო სიკვდილისაგან დაცვას.

---

დურმიშხანის ცოლის—ზურაბის დედას—შემდგომ შეცდენისა შეუყვარდა სურამის ციხესთან სარუელი. მივიდოდა ხომე საწყალი, იდგა, იდგა, ფიქრობდა რაღასაც და შემდგომ გულისმოსაკლავი დაღონებით იტყოდა: ახ, ნეტავიკი მომაგონა, და დაღონებულივე წამოვიდოდა შინ. ესე გაიარა თითქმის სამმა წელიწადმა. შიშმაც გადაიარა ისე, როგოროც ხანდისხან გადაივლის ხომე ქუხილი. ქუხილი ბევრი იყო, წვიმა სულ არა. ზურაბის დედა ერთხელ, როდესაც ჩვეულებრივ იდგა სურამის ციხის წინ და ფიქრობდა, მსწრაფლ დაიძახა საშინელის ხმითა ვაიმე შვილო ზურაბ;—და შეუწუხდა გული. დასუსტებულმა სხეულმა ველარ აიტანა ის გულის წუხილი. საწყალი მოკვდა. დამარ-

ზეს ისე, როგორც ეკუთვნოდა დამარხვა ერთ მათგანსა, რომლისაც შვილმა ესე საშინლად შესწირა თავი მამულს.

ამბობენ მითომ იმ ადგილს, სადა დაფა-ნებული იყო საწყალი ზურაბი სურამის ციხე არის ნოტიო და ცრემლივით ჩამოდის წვეთი და თითქმის აქამდისინ მთვარიან ღამე-ში გამოდიოდა ერთი თმა გაშლილი დედა-კაცი შავის ტანისამოსით და ტირილით მო-ხმახდა:

სურამისა ციხე
სურვილითა გნახე,
ჩემი ზურაბ მანდ არის
კარგა შემინახე.

. . . . . .
. . . . . .
. . . . . .
. . . . . .

დ. ჭონქაძე.

# საიდუმლო ბარათი.

---

საიდუმლო ბარათო!
გითხრეს: «უქმენ მარადო
სიხარულის მიმნიჭველ
და სევდისა ფარადო».

მისთვის გიდებ უბეში,
გალბობ ცრემლის გუბეში,
აღასრულო რაც გითხრეს,
თუ ხარ ჩემი ნუგეში!

ვერა მხედავ მდუმარეს,
ცრემლსა ვით ვღვრი მდუღარეს?
რად არ მეტყვ მის ანბავს,
ნუგეშს არ მცემ მწუხარეს?

ოდეს მისი მარჯვენა
გრძნობით გხატავდა შენა,

თვალით ცრემლი ვერ შენიშნე?
ვერც სახეზედ მოწყენა?

რომცა ამ სიტყვებს სწერდა,
გული ხშირათ უძგერდა?
ანუ ტკბილის გრძნობითა
სიყვარულსა დაგმღერდა?

ჵ როს ფარულად მანა
შენ ჩემთან გამოგგზავნა,
ანგელოსი სუფევდა
მის გულში, თუ სატანა?

არა! ამ გრძნობას განა
ვერ მიჰხვდავს სატანა,
რადგან მარტო ის არ გრძნობს?
ასეა ეს ქჳეყანა!

თუ ასეა ზარითო!
მე შენ უნდა გამართლო,
სიხარული მომფინო,
სევდა რაც მაქჳს წამართო!

თ. აკ. წერეთელი.

ჩყნთ—სა წელსა.
მკათათვსა კ—სა დღესა.
ს. პეტერბურღს.

---

## სოფლელნი და მდინარე.

(კრილოვით).

---

სადღაცა ერთისა სოფლისა,
პატარა სევში წყარონი ჩუდიოდნენ ახლოსა,
მარამ ეს სევი უზინოდ ყოველ წელს აღელდებოდის,
და მაშინ ამა სოფლისა საშინლად გაოხრებდის:
ზოგისას ბაღსა ახდენდა
და ზოგსა სახლებს უძრავდა,
ზოგსა ცხვარს, ქათამს ჰხვაცვებდა, ზოგის წის-ქვილი მიჰქონდა.
და ესრეთ ხარკსა მალათა, ყოველ წლივ სოფლით მოჰკრეფდა.

ბოლოს ერთს დღესა სოფლელნი
მოთმინებითგან გასულნი,
შეჰკრბნენ, იყვირეს, არჩივეს
და ბოლოს ესრედ გადაჰსჭრეს:
რომ წყაროს ბატონს შესჩივლონ არზა მიარ-თონ მდინარეს,
რომელიც მეიმედ თავდაბლად, განცხრომით ქა-ლაქს ჩაუდის,
მისგან კაცისა დაჩაგვრა არა სმენია არავის.—
ჩუენს შეწუხებას წყაროსგან რა იგი ესრედ მოი-სმენს,
მაშინ შესტუქსავს, წაართმევს და მოგვცემს და-ნაკარგსა ჩუენს,

ამა იმედით სოფლელნი, მსწრაფლ სხივლელად წარვიდნენ
და რა ძალოსა მივიდნენ
ნახეს მათ, კარგი რაც ნივთი, წყაროსგან იყო წალებული,
სრულებით ყველა მდინარეს თვითონ მიჰქონდა მუავლ.
მცირეხსანს დადუმებულნი მწარედ სოფლელნი უმზერდნენ,
მერე შეჰხედეს ერთმანეთს და თავთავისთვს დაბრუნდნენ:
მუნ სამართალი ვით ჰპოვოს, საწყალმან ანუ უძლურმან,
სადაცა ქრთამებს იყოფენ მდივანნი ნაჩალნიკებთან.

თ. ალ. ჭავჭავაძე.

---

## ფარვანა.

---

ყოველის ლხინისგან მე დანაგდებსა,
დარდები გულისა განმიახლებდა,
კარავს ქვეშ ვწერდი ჩემსა აზრებსა,
ფარვანა სამთელს დასტრიალებდა!

მე კვალად ვსწერდი, ის ეშხით მთვრალი,

ოდეს საყუარელის განშორდებოდა,
ძალი განლეული, ცნობა გამქრალი,
გლიას ჩემს ქაღალდზე დაეცემოდა.

არის ვანზოზდი ვიყავ მდუმარებით,
მით რომელ ფიქრმან 'შორს წამიყვანა,
მაგრამ მან მეცის ხმარის სცუმარობით,
მოთმინებითვე გამომიყვანა.

როცა ეს მჭირდა მე ვაგლახაანს,
ჩემი ჯავრობა იყო რა რიგი,
ჯელი მოვკიდე ამიკ ყინიანს,
მოიხსნეს მხურდა დამწვა იგი.

ხოლო სამთელოთან როცა მამქონდა,
ამა ყუმეცრულის საქმეს ვშვრებოდი,
ტკბილი დღეები მსწრავლი მომაგონდა
ოდესცა გიყო მისზერ ვიწოდი.

თ. მამია გურიელი.

---

# იამბიკო

ლუკიის მსაიბლისადმი.

---

აწ მსურის შენდა, მარიამა ლუკიისა ღვდამ მეცომელი რამე, ვედრებითი თხოვნანი

ძლიით უხუცესმან, თჳნიერ მოსყიდვისა
მწუხარეთადმი, შენის მოწყალებისა,
რომელს ნამდვილად, აქუს სასოება შენდა.
ყოვლად შვენიერ, ყოველთა ქმნილთა შორის
მჭილად დასმულად და წყაროდ დაუშრეტელად
მოგასწავა შენ, ყოვლად ბრძენმან სოლომონ
სულით ბრძნით ქმნილმან, ვერ უძლო უმეტესი
ღირსად შენდამი, ქებით მსიტყუელობანი.
წინასწარ მეტყუელთა, ყოველთა მოგასწავეს
პირად პირადად, წინათ სულით წარმოსთქვეს,
სხუასა და სხუას დროს, ნამდვილი თანახმად აღ-
წერნეს
რამეთუ ფრიად, სულით მხიარულ ქმნილთა
აღსრულებისა, ნამდვილად მომლოდნილთა.
სამებამ ღმერთმან, ბუნებით სახიერმან
ვერა მცვირთველმან, კაცთ ბუნების წარწყმედის
საუკუნითგან, ჰყრობილთ გამოხსნისათჳს,
ინება ყოველთ, წინათ მოსწავებული
მოწყალებითა, აღსრულებისა მოსვლა.
ზამთარი წარხდა, და ყვავილნი გამოჩნდეს,
აღყვავდი რაა, ნაცვენი დავითისით
დიდი სუნნელება, ფშვინვა უმაგალითოდ,
რომელიც ჩუენდა, გარდმოსთოვე თჳთ შენვე
და გვიქმენით ჩუენ, უღირსნი სამწყსოდ შენდა.
ენა მეტყუელთა, ვერ შემძლებელ არს შენდა
ღირსად გალობად, ცრიელთ სოლომონითა
ფრიად რიცხოვნი, დაშვრეს და მოუძლურდეს

ესრეთ მეტყველნი, სარწმუნოებით ზღუმნეს
ღუთისა ურმათ, და ღედათ უსძლოვო.
სულისა მაღლით, განბრძნობილნი წმინდანი
ვინადგან ზღუმნეს, მგრძნობელნი არ მეძლებენ
აწ მე ვით უძლო, გამოთქმად მესაბამის.
ფრიად უსიტყვამან, მალითა უმეცრების
ამისთჳს მეცა, მთამოვალ მესამლოსა.
მეწსარ მფარველო, წილსდომილის ყრისა
სრულიად ქართველთ, დაწყებითგანვე პირველ,
განსაცდელთაგან, პირად პირადად დამხსნელ.
რიცხჳთ სხოპასა, ვერვინ არის წარმომთქმელ
მეც ამის სახო, ვიძლოვნებ აწ ესრედ.
ივერთა ერთა, ყოველთჳს სარ სიქადული,
უმეტეს მორის სფერათა ქვეყანისა
ამად ვითარმედ, კუთვნილი ვართ შენდა სმალო,
რომელნიც დიდად, განწირულნი მარადის
სხნილ ვართ შენმიერ, ყოველთა უმაღლესო.
ვინადგან შენდა, კუთვნილ არს ეს სიტყვანი
მწუხარეთადმი, დიდ ნუგეშის ცემანი
მეუწყვნელთა, ურიცხვი მეწყობანი
ვგონსე ჩუმნცა, ყოველით ივარ ქმნილთა
მისა შენისა მარჯუენით მფლომარეო.
თჳთ მე უნდომან, უკნინესმან მხევალმან
ეს მცირედნი, უმეცრებითნი სტიხნი
ვნინის გონებით, მწველიად მეგწიროე მენდა

ღმობიერებით, მიითვალე დედა
წ კვალად ვვავე, მამულს სამწყსოსა შენსა.

უცხოებაში მყოფი საქართველოის მეფის ირაკლის მეორის ასული თეკლა.

1834-სა წელსა.
ნოემბრის 15-სა დღესა.
დ. კალუგაში.

---

# მადლობის შესხმა.

---

გამზგავსებ ბრძენსა, სოლომონს მძლეთსა,
დავითის ფსალმუნით გამომეტყველსა,
ლუკის პირველი მცნობელს, აბრაამს მკსნელისა,
ჩუენს შემომეყვანელს, ვერძია მომსვრელისა.
ჰსჯულით მასწავებელს, ფარაოზთ მახრო-
ბელს,
მოსეს ისრაელით, გამომყვანებელს,
იუსტიანეს, შრომის მოყვარეს,
რომის კეისარს, დიდთ საყურველს,
მათ პირთა მზგავსი, არათუ მეფობით,
არც საღმრთოს სიტყვით, შენ რიტორებით,
არცა დიდების, ხალხთ მფლობელობით,
არც მათ ზეციურით, მსგავსთ მოვლინებით,
გარნა გემსგავსნის, ამ ქების სმენა

ამად რომ მათებრ, მზრუნველობ შენა
ზოგთ ციურთათჳს, იქ შესჭედე ფრენა,
შენ საზოგადოთ, მოეცი ლხენა,
მოგვფინე ლამპარი ჩუჱნ ამა ბნელისა?
სით მოგვენიჭე, უდაბნოს მსვლელისა,
გვმართებს მადლობა, მოგიძღჳნათ ესა,
მცნობელის, უცნობელის, ყოველთ მგრძნო-
ბელისა,
იმეცადინე, ვით წინაპარნი განანათლებდენ,
თჳს ქადაგებით, ყოველთა მსმენეთ აკავში-
რებდენ,
მკჳრცხლი წრფელობით. ენა მჭევრობით
ახელოვნებდენ,
შრომასა თჳსსა, მათის მზერითა არ აფასებდენ.
ამის შემდგომად, შვილითა ჩუჱნთა ესე საგანი,
გესლიანობა, შური მძიმე; მცონარებანი,
უნდა განფანტონ გულისა შინა უჯერობანი,
ამად ეს წესი, არ დამალონ, ბეჭდულებანი!
აი! რად გვმართებს, რომ მადლობა შევ-
წიროთ ერთა!
შენ განაფხიზლებ, ყოველ საქმეთა ვით
მძინარეთა!
შესთხზევდნენ სტიხსა, ზოგნი პროზად დიდ
გონივრულითა!
წაკითხვის შემდგომ, შთააგდებდნენ მგზნე-
ბარე ცეცხლითა!
ამისაგამო, ეს სურვილი დაშრეტილიყო,

სიმხნე, გონება, მყუდროება, დაფუძვნილი იყო,
მისთჳს უსაზღვროდ, რაზამ ყოვნა დანერგილი იყო,
ამით სწავლულნი, უსწავლელთან, დანახული იყო,
ქართველთა შორის, ნუთუ არ იყვნენ კაცნი და ქალნი.—
სწავლის მოყვარე, გონიერნი, აქუს ბუნებანი,
ღჳთის სიყუარული, საღმრთოს კითხვით, შესწავლებანი,
გარნა უფსკრულს, იყო დაფლული, ვით ზღუაში ქუანი,
სევდა განსდევნე, ტკბილით სულით იცევ გონება,
თმინების მალით შეწე, და ღჳთის მონება,
ტისკარი ესე, წლოვანებით თუ აღყვავდება
მისსა სრულ მყოფსა, შემდგომ რჩევა მოგვეწონება, —

კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა.

## მეფე სოლომონ მეორეზე.

(განგრძელება.)

---

ვიდრე იმერეთში იყო მშვდობა და მეფე იქცეოდა ღირსეულად, მაშინ ყმწვილის უყვარდა. თვით გარეშე შეხედულობაცა მისი დანერგვიდა გონებასა შინა მჭვრეტელისასა კარგსა ჰაზრსა, ე. ი. კეთილის თვალით უყურებდა ყმწვილისა. იყო პატარა ტანისა, საშუალო სიმაღლეზედაც დაბალი, ნაკვთიერებით მრგვალი, პირის სახე ჰქონდა მრგვალი, თეთრი და ფეროვანი; თვალები ჰქონდა ტრედის ფერი, ცოცხალი და მშვდი; გაიღიმებდა საამოთ და მიმზიდველობით ლაპარაკობდა ჭკვიანად; ხასიათი ჰქონდა მშვდი, ერთ ნაირი და მხიარული. აღზრდილმან, წარჩინებულის პაპის თჳსის მეფე ირაკლის სასახლეში, და-

აწესა მრავალი ქართული ჩვეულება. თავის სამყოფლში, თვით მარად ეცვა ქართული ტანთ-საცმელი, ახალუხის გარდა, რომელისაც ნაცვლად ეცვა იმერული ზუბუნი ფუთნისა. სოლომან მეფეს უყვარდა ჩაცმა მდიდრული ტანისამოსისა და შნოიანად. ჩოხას შეიკერავდა ევროპიულის მაუდისას სოსნისა ანუ წაბლის ფერს, გარეშემო ბუზმენტ შემოვლებულს; განიერ ლიურჯ ოსმალურის შალვარს. ქართული სამოგვას წაღებს, ვერცხლის ნალებით და ამისთანავე დეზებით; ხანდახან წაღებს შეიცვლიდა მაღალი ქუსლიანი წუანე ქოშებით და მაშინ ეცვა სოლომე სპარსული ჭრელი წინდა. ქერა ულვაშებს ილებამდა ინით, წვერსა და თავს იპარსავდა და განუშორებლივ ეხურა მაღალი ქართული ქუდი, გვერდზე. წელზე ერტყა ვერცხლის ქამარი, ზედ ხანჯალი მდიდრათ მორთული, გულზე ატარებდა ყოველთვის ოქროს ჯაჭვით ძელი ჭეშმარიტის ხატსა, რომელიც განსაკუთრებით პატივ-ცემული იყო იმერეთში, ასრე რომა ფიცი იმ ხატზე ვისაც ჰქონდა გულზე, შეირაცხებოდა ყოველს ფიცზე წარჩინებულად. ამ გვარი იყო ტანი საცმელი სამარადისო და საპიდლეგო სოლომან მეფისა, ფრიად მცირედის განსხვავებით, ასრე,

რომ ზამთარში ჩოხის ნაცვლად ჩაიცვამდა დაბეწვილის ხავერდის ტოლუმბასა; ხოლო ოდესაც გამოვიდოდა სასახლიდგან, მაშინ გადიგდებდა მარცხენა მხარეს ნაბადსა და შე-მოირტყამდა — ლეკურსა. რადგანაც კოხტა-ობა უყვარდა, ამისათვის მალიმალ შეიკერა-მდა ხოლმე ახალ-ტანთ საცმელსა და ძველს უბოძებდა თავის მსახურებსა და ხან და ხან ზოგიერთთა წარუგზავნიდა წყალობის წე-რილითა, ვითარცა მეფის ჯილდოსა.

ცხოვრება მეფისა იყო ფრიად მარტივ. შვიდზე ან რვა საათზედ იღვიძებდა და მაშინ-ვე წავიდოდა ეკკლესიაში წირვის მო-სასმენლად. და თუ იგრძნობდა ავათმყოფობის ნიშანსა ან თუ შეემთხვეოდა ცუდი დარი, მაშინ წავიდოდა დედოფლის ოთახში, სადაც ყოველთვის ლოცულობდა მოძღვარი, კვირისა და უქმის დღის გარდა; ხოლო უქმე და კვირა დღეს დედოფალიც წავიდოდა წირვაზე თავის კარის ეკკლესიაში, იმ ეკკლესიაში, რომელიც იყო ბატალიონის სადგომად და ამ ჟამად არის გიმნაზიის კარის ეკკლესიად.

დაიხსომეთ აქა პატარა ძველი სამრეკლო, ნაშენი თლილის ქვით, რომელიც გიმნა-ზიის ალაგების დროს, უნდოდათ დაექციათ, მაგრამ განსვენებულმა უგანათლებულესმა თავ. გარანცოვმა უბრძანა დაეტევა შისი და

მით დაიცვა სიმჴურვალითა სახსოვარი შენობა.

დიდის ლოცვის შემდგომ ყოველთვის მეფე თჳსის ჩუეულებისამებრ დალევდა ვერცხლის ფინჯნით ყავასა დედოფლის ოთახში, მას შემდგომ მოსწევდა თჳს თავ ჩიბუხსა, და გამოვიდოდა მენავზე ან გარეთ ეზოში, სადაც ყოველდღე იყოდნენ თავადნი და აზნაურნი, მოსრულნი მეფესთან მოსაკითხავათ ანუ რისამე სათხოვრად. სადილის მიირთმევდა ყოველთვის თერთმეტს საათზედ ხან დედოფალთან, ხან მათ თავად-აზნაურთან, რომელნიცა მოიწვევდა თავის სასახლეში. სადილობისას მეფე დაბრძანდებოდა ფეხ-მოკეცილი ტახტზედ, იმის წინ გაშლიდნენ სუფრასა და მოწვეულთათჳს მოუდგამდნენ ტახტს დაბალი სკამებს. რომელნიცა გაათავებნენ ლოცვას, მას შემდგომ სამნი მსახურნი მუხლ-მოდრეკით მიართმევდნენ ვერცხლის ალთაფას, ტაშტსა ჴელის დასაბანლად და პირსახოცს. ამ გჳარათვე დააბანინებდნენ ჴელსა სტუმრებსაცა, და მას შემდგომ მოართმევდნენ საჭმელსა: ლომსა ვერცხლის სინითა და სხჳა საჭმელებსა ბროლის თეფშებითა. უპირველესი დასამშვენებელი სუფრისა იყო ვერცხლის ჭურჭელი ღვინის: პატარა და დიდრონი ხელადები, კულა, აზარფეშა და ბადია, რომელნიცა ზოგიერთნი ყმაწჳლნი

კაცნი დასტურიდნენ უხვენებლივ, დასამტკი-
ცებლად მეფის დიდგრძელობისა და ბედნიე-
რებისათვის. მაგრამ თჳთონ მეფე სჭამდა
ფრიად ცოტასა, და თითქმის ქუეყნისა და სარ-
შოს მატსა ჯელის არის ახლებდა. მიზეზი
ამისი იყო დამწრალი ჭრილოები სიყმაწვილი-
თვე და სამართის ჭრილოებიცა სრულიად ჰქონდა
ამოღებული. სადილზე იჯდებოდა ყრთის
საათს და შემდგომ წავიდოდა მოსასვენებლად.
როდესაც გაიღვიძებდა, მაშინ მოართმევდნენ
ხილსა და საჯავახოს ღვინოსა, მას შემდგომ
გაატარებდა დროებსა, როგორი დარიც
დაუდგებოდა. წვიმიან, ტალახიან, ცივს დღე-
ში იქნებოდა შინა, კითხულობდა სასულიე-
რო წიგნებსა, ემუსაიფებოდა მომღერებსა,
კარის მოსამსახურეებსა და ხან და ხან თამაშო-
ბდა ჭადრაკს. კარგს დარიან დღეში გავი-
დოდა თავის კარემო მინდორში, დაჯდე-
ბოდა ქჳს სკამზე ცაცხვ ქვეშა, შეუდგებო-
და სახელმწიფო საქმეების განრჩევასა და
უმეტესად უყურებდა ყმაწვილი კაცების
ბეჯითობასა ცხენოსნობაში, ჯირითისა და
თოფის სროლაში. თოფის სროლა უყვარდა
განსაკუთრებით და კარგათ ნიშანში მსრო-
ლელთა დაასაჩუქრებდა იარაღით, ცხენით,
ფარჩით ტანისამოსისათვის და ხან და ხან დროსა
მხიარულებისასა აჩუქებდა ხოლმე ყმასაცა,

მეტადრე თუ მრავალთა შორის გაიმარჯ-ვებდა ვინმე ისრეთი, რომელიც იყო წი-ნათვე მეფისაგან კეთილად შენიშნული. ზო-გიერთა მცირეთაცა უბოძებდა ხარისხსა აზნაურობისასა. ამბობენ, რომ ერთხელ თო-ფის სროლაში თურმე ნახა კაცი ვინმე სრუ-ლიად შეიარაღებული, რომელსაც ვერ იც-ნობდა წინათ; და ჰკითხა: «შენ ვინა ხარო?» მან მუხლი მოდრეკით მოახსენა: მე გახლა-ვარ, ჴელმწიფეო, ახალციხელი ვაჭარი. — «რისათვს გარტყია მაგტყელი იარაღი და მა-გისთანა კარგი შაშხანაო?» — ეს შაშხანა ყო-ველს სავაჭროზე მფიროვასია ჩემთვს, თქუჱ-ნო დიდებულებავ. მე ისრე ვერა ვხმარობ ადვილსა, როგორათაც ჩემს შაშხანასაო. — «კარ-გათ ესვრი ნიშანშიო?» — იშვიათად დავაცდენ. «მაშ, აიღერ ნიშანი. თუ მოარტყამ — საჩუ-ქარს მოგცემ, და თუ დააცდენ, იქნები მოტ-რაბახე და დღეის შემდგომ აღარ უნდა და-მენახოვო». ვაჭარმან ესროლა და მოარტყა ნიშანში. «ყოჩაღ, ყოჩაღ უბძანა მეფემ, — მე მაგ ყოჩაღობისათვს მიბოძებია შენთვს აზნაურშვილობაო». იგი იყო მამაჯანა თითი-კოვი, უკანასკნელი პირი, რომელსაც ებო-ძა სოლომონ მეფისაგან აზნაურშვილობის ღირსება.

მეფე ხან და ხან თჳთონაც გაერეოდა სო-

ლიმე სახლში, და რადგანც მხიარული ხასიათისა იყო, უყვარდა სხვა და სხვა ხუმრობა და მასზედ წაახალისებდა ხოლმე თჳსთა მახლობელთაცა, დარბაისელთა ხალხთა. «თუ გიყვარვარ, ეტყოდა ხოლმე მეფე ზოგიერთსა თავის მახლობელსა, სასაცილოდ იხუმრე რამეო» და როდესაც, ხუმრობას შემდგომ, მაღალის ხმით გაიხარხარებდნენ ყველანი, დიდათ ანუგეშებდა მეფეს.

ერთხელ მოახსენეს მეფეს მოხუცია ივანე იაშვილისა, რომელიც იყო დიდად მოღვრემილი მგლოვარობისაგამო, შავებით შემოსილი და სარტყლამდის წვერ ჩამოშვებული.—ეს ყოველივე, როცა გაიგო მეფემ ჰსთქვა: ის უნდა გავამხიარულოთ, მაგრამ როგორ? იფიქრეს, იფიქრეს და ბოლოს მოიგონეს. მოუწოდეს მეფესთან ყმაწვილსა, რომელიც იყო დედოფლის აღზრდილი, პატარა, მაგრამ ცქვიტი და ლამაზი ბავშვი. «აბა, გიორგი, უბრძანა მეფემ, შენ უნდა მოახერხო ერთი რამ, და მას თუ კარგათ აღასრულებ შეგიკერავ წითელი ბუზმენტებით მორთულს ჩოხასა. შემომაჯექ ზურგზე ნაბადს ქვეშა და, როდესაც მოვიდეს ჩემთან ბერიკაცი, გრძელი წვერიანი, მუხლზე საკოცნელად, მაშინ შენ წაავლე წვერში ჴელი და გასწიე მაგრა, შემდგომ ჩა-

მოხუცი და დაიმალულიყო. ესე ყოველივე აღსრულ-
ლია გიორგიმა. მაგრამ სუსხიან რაჭველის
ისეთ ნაირად ეწყინა, რომე გაბრაზებული
გაბრუნდა უკანვე, წაივლო ხანჯალს ჴელი
და ითხოვდა რათა მიეცათ დასასჯელად მაწ-
ყინებელი. მაშინ ყოველთამ სიცილით დაიწყეს,
მეფემაც ბევრი იცინა, მას შემდგომ მიყ· და
იაშვილთან, დამშვიდებით უთხრა: «როგორ
არა გრცხვენიან ივანე, რომ აგრე ჯავრიობ;
შენ გაგეხუმრა დედოფლის გაზდილი და
ვინდა, რომ პატარა ბავშს გადუხადო სამა-
გიეროვო». ჴელმწიფეო ჩემო, მიუგო გულ
დამშვიდებულმა ივანემ, მე პირველად მეგო-
ნა, რომა თვით ეშმაკმა წამავლო წვერში
ჴელი და გაჯავრება ჩემი დედოფლის გა-
ზდილზედ არა არს წესი და არც შემშვენის.
ამისათვს მეფემ უბოძა იაშვილს დიდი ჯი-
ლდო. მას სრულიად გული დაუმშვიდა და
ამ ხუმრობაზე ბევრი იცინეს ყოველთამ, ვინც
იქ შეესწრო და მას შემდგომ ეს ამბავი
გაიგო მთელმა იმერეთმა.

ამ გვარათ იყო მხოვლიობა ჯერეთაც
მახლობლისა წარსულის დროებსა, ამ გვა-
რათ ატარებდა სოლომან მეფე თავისუფალ
დროებასა თჳსთა ქვეშევრდომთათანა.

ეს წესი ცხოვრებისა მოეშლებოდა სო-
ლომე წასვლით სანადიროდ და ბრწყინვალე

დღესასწაულ დღეს.

ნადირობა მეფისათჳს იყო უპირველესი შესაქცევარი. ზაფხულში ცხოვრებდა ქუთაისში ⁊ ნადირობდა დილაზე ადრე, საგორისში ⁊ რიონის მინდვრებში, სადაც მრავალი იყო კურდღელი ⁊ ხოხობი. მთელს ზამთარს გაატარებდა ვარციხეს ⁊ მაშინ ინადირებდა რამდენიმე დღე ერთი-ერთმანეთზე თჳსს დაყორუღებულს აჴამეთისა, ვარციხისა ⁊ საგორისას ტყეებში, სადაც მრავალი იპოვებოდა: დათჳ, მგელი, მელა, გარეული ღორი, ირემი ⁊ გარეული თხა. ირემი ⁊ თხა იმდენი იყო იმერეთშია, რომ ლიტკვინოვი, ოდესაც ანგარიშობდა სარგებლობასა, რომელიც შეეძლოთ შეეძინა რუსეთისა იმერეთიდგან, ისე ჰსწერს, რომ შეიძლებოდა აქ შოვნა ტყავისა, ირმისა ⁊ თხისა, ხნაკისა ⁊ ხამოგვისა ქარხანებისათჳს. აჴამეთისა, ვარციხისა ⁊ საგორის ტყეებს გარდა დაყორუღებულ ტყეებად ირიცხებოდნენ კიდევ ტყენი: შუამთისა ქუთაისის მაზრაში, ლოხინათხევისა ⁊ საყანდისა შორაპნის მაზრაში. — აქ მეფე წავიდოდა გაზაფხულში, ოდესაც ცხელოდა ზემოხსენებულს ტყეებში, სანადიროდ თჳსის ხალხით; მაშინ მეფისათჳს აღაშენებდნენ ფაცხაებსა ⁊ საგზალი მოერთმეოდა გარემე სოფლებითგან,

რომელთაცა ვალად ედვათ მასპინძლობა. მეფე თვითონაც მიბძანდებოდა სოფლებში და ზოგიერთნი გლეხნი უმასპინძლებდნენ და ისრე ასიამოვნებდნენ, სხვა და სხვა მხიარულობითა, რომა მეფე უბოძებდა ხოლმე ბევრს მათგანს ხიველისა ხარჯისაგან განთავისუფლებისასა, რომელიშიაც ეწყობოდა მეფობა: «ჩუენ ისრე კმაყოფილი ვართ შენის სამსახურისა და მასპინძლობისა, რომა განთავისუფლებთ შენა, შენს შვილსა და შთამომავალთა ყოველის გვარის ხარჯისაგანო». ბევრჯელ ამ გვარი მეფის მასპინძლობა გლეხთათვს იყო დიდად საამიმო, ამისათვს რომა მეფის მახლობელნი ბევრს თხოულობდნენ სხვა და სხვა სასმელ-საჭმელისა და მით აოხრებდნენ ბევრს სოფლებსა და ამისათვს ნებით თუ უნებურად უნდა გამოეცხადა მეფეს ბინა.

ნადირობის დროს სადილ-ვახშამი იყო მცირე ყ. ი. შემწვარი და მოხარშული ხორცი, სადაც სუფრაზე მოიწვევდნენ ყველას, როგორც წარჩინებულთა პირთა, ეგრეთვე გლეხთაცა, რომელნიცა დალაგდებოდნენ აქა-იქა მინდორზე, იმ ადგილს გარშემო, სადაც იყო გაშლილი სუფრა მათ უდიდებულებისათვს. ამ გვარ სადილზე მეფეს ჰქონდა ჩუეულებად, გადაგდება ხორცის

ნაჭრისა ხალიხში და ამასთანა მეფის მოწყალეზა შესხმისვადა ხალხსა, შეიქმნებოდა საცილი; ყველა ცდილობდა მეფისა რასმე მიღებას, ამ გვარ საღამოზე იყო დიდი მხიარულობა და ისხდნენ სუფრაზე დილის ათი საათიდგან საღამომდისინ, საღამოზე გამოზდნენ, თამაშობდნენ, სჭამდნენ საღმრთოგამყოლოებსა. ამის მზგავსად, ოდესაც სტუმრებსა ჰქონდათ ყველგან მეფის საღამოზე ყოფნისა ბედნიერის დღეს, გაათამამდნენ საღამოებსა ქეიფისშიაცა, მაგრამ ყოვლით რიგიანად, მათებულად და მომატყუებულის სასმელ საჭმელითა, სასახლის წინ მდგომარე მინდორში.

საღამოდ აღდგომას, ქრისტეს შობას ახალ წელიწად დღეს, მოიწვევდნენ ყოველთა არქიელსა და წვევრთა მეფის გვარისასა, რომელნიცა იყვნენ იმ დროს ფრიად ცოტანი.

სოლომონ მეფის მიცვალებულის შემდგომ მემკვიდრედ არავინ დარჩა მამრობითი სქესისა-მე მისი ალექსანდრე გარდაიცვალა ყმაწვილობითვე, ამას დარჩა ერთი ყმაწვილი შვილი გიორგი, ერთის აზნაურის ყლენტის ქალისაგან. გიორგიმ შეირთო დარეჯანი გურიელის ერისთავის ქალი და ჰყვანდა ორი შვილი, ალექსანდრე და დიმიტრი; ბოლოს დროს დარეჯანი თვისის შვილებით გარდასახლდა პეტერბურღში და ქმრით მათ გვარად იმე-

თის ბაგრატიონობა. (Багратіоны Имеретскіе) სოლომონ პირველის ასულნი: დარეჯანი იყო მეუღლე თ. აბაშიძისა და მარიამი ქსნის ერისთავისა. შვილი სოლომონ მეფის ძმისა ბაგრატისა დავით ბაგრატიონშვილი ცხოვრობდა განუშორებლად გარეჯეთში, იმისნი შთამომავალნი არიან თავ. ბაგრატიონ-დავითისშვილები. ამ გჳარად დიდი მეფე სოლომონის სახლისა ქუთაისში ცხოვრებდა მხოლოდ მოხუცებული დედოფალი გულქანა თავ. წულუკიძის ასული; იგი იყო ყმაწვილობისას განთქმული სილამაზითა და ჯერ იყო მეუღლედ აზ. ქაჯაიასი, რომელიც ქმრის გარდაცვალების შემდგომ მეორით სოლომონ მეფემან; ბოლოს მიიცვალა ოთხმოცის წლისა.

მეფე სოლომონ მეორის ძმის დავითის მიცვალების შემდგომ დაშთა მეუღლე მისი დედოფალი ანნა ასული მაჲყ ორბელიანოვისა. იმას ჰყვანდა ერთი ვაჟი და სამი ქალი: მზეხათუნი მეუღლე თავ. სვიმონ წერეთელისა, ანასტასია მეუღლე თავ. აგიევისა და თამარა მეუღლე თავ. სვიმონ გურიის ერისთავისა. ოდეს დავით მეფემ დაჰკარგა სამეფო თჳსი და მიიღო თჳსისა ძმისწულის სოლომონ მეორისაგან საზრდოდ საბატონიშვილო, მაშინ ერთგულობის დასამტკიცებ-

ლოდ მისცა შვილი თვისი კონსტანტინე, სრულიად მის განკარგულებისა ქვეშ, და რადგანაც შემდგომ გადაუდგა თავის მპყრო-ბასა, დამორჩილდა და გარდაიცვალა ახალციხე-სა, ამისათვის სოლომონ მეფემ დააპატიმრა მუხურის ციხეში კონსტანტინე; სადაც იყო დატყვევებული რამდენიმე წელიწადი, ვიდრე თ. ციციანოვმან არ განათავისუფლე-ბინა პეტერბურღში წარსაგზავნად, მაგრამ ბატონიშვილი ისევ გამოიქცა ტფილისის ქალაქიდგან იმერეთში, შეურიგდა სოლო-მონ მეფეს და ცხოვრებდა აქა 1810-სა წლა-მდე, ე. ი. ვიდრე მეფე იმერეთისა სრუ-ლიად არ მოუშლებოდა და მის განტო-ლვით შემდგომ კონსტანტინე ბატონიშვი-ლი წარვიდა ს. პეტერბურღში თვისის მშო-ბლითურთ. იმერეთში დასტოვა მეუღლე თვსი ასული თავ. აბაშიძისა; და რადგანაც ვერა სცხოვრებდნენ თანხმობით, ამისათვის ჰთხოვა მთავრობას განშორება თავის მეუ-ღლისა, ვითამ ამ მიზეზით, რომე ყმაწვი-ლობით შემცდარიყო და შეერთო იგი; ხოლო ეს თხოვნა მისი ჰპოვეს უსამართლოდ და არ მისცეს ნება განშორებისა. მაინც ვიდრე რუსეთში შეირთო ორჯელ ცოლი და ეყო-ლა შვილები, რომელნიცა ეხლაც ცხოვრე-ბენ რუსეთში, და ირიცხებიან იმერეთის ბა-

ბატონიშვილებად (Князья Имеретинскiе).

უკანასკნელს მეფე სოლომონს არა ჰყავდა ძმა, ხოლო ჰყვანდა ორი და: ბარბარე მეუღლე თავ. წულუკიძისა მალე გარდაიცვალა, მეორე მარიამი იყო მეუღლე თავ. მალხაზ ანდრონიკოვისა, რომელსაც მზითვად მისცა სვერის საბატონიშვილო, ის სცხოვრებდა მუდამ ქუთაისში. ოდესაც მეფე შეიქმნა წინააღმდეგი რუსეთისა და გაიქცა ახალციხეს, მაშინ თავ. მალხაზ ანდრონიკოვიც გაჰყვა მეფესა. ამისათვის მას ჩამოართვეს სვერის საბატონიშვილო, საიდგანაც იყო შემოსავალი ოთხმოც და თვრამეტი თუმანი და ერთი მანეთი თეთრი ფული, და დაუბრუნეს იმავ პირველს მფლობელს ელიზბარ ერისთავსა. ელიზბარ ერისთავსა ჰყვანდა მეუღლედ ასული მეფე სოლომონ პირველისა და იყო ერთგული და თავ-განწირული რუსეთისათვის.

სოლომონ მეფის მეუღლე იყო ასული სამეგრელოს მფლობელის კაციასი. იგი იყო მშვენიერის სახისა, და რადგანაც მეუღლე ჰყავდა დამაჯერებელი, ამისათვის ცდილობდა ზურაბ წერეთელითურთ, რომ რუსეთთან ჰქონოდა კეთილი საქმე. და რადგანაც სოლომონ მეფე იყო უშვილო, ამისათვის უმეტესად ჰსურდა მიცემა იმერეთისა რუსეთის მფლო-

ბელიობასა ქუჩშე და მის უზრუნველ იყო საუკუნოდ. მაგრამ ზოგიერთთა მეფის წინაშე დამოახლოვებულთა პირთა, თჳსის სარგებლობისათჳს მიიზიდეს თავის მხარეს, გარნა ამ საქმეზე მოვილაპარაკოთ შემდგომ, ხოლო აწ შევუდგეთ განხილვასა მისის მეფურის განმგებლობისასა.

---

## II.

## სამსახურის დაწყობილებისათჳს. იმერეთში.

სახლთ—უხუცესისა წოდებისათჳს და მეფის შემოსავლისა მდგომარეობისათჳს. კარის მოსამსახურეთა ღირსებისათჳს, მოურავებისა და მათის მნიშვნელობისათჳს, მდივანთა და მდივანბეგთა განჩინებათათჳს, სეფის—თავისა და ბოქაულთ—უხუცესისათჳს, განჩინებისა აღსრულებათათჳს, იმერეთის ციხეთა და მათთა განმგებლობათათჳს, სარდალთა წოდებათათჳს, ჯართა შეკრებისა და საომრად წასვლისათჳს, ომში ნაშოვარისათჳს, მეფის ომში მონაწილეობისათჳს, მეფისა წინაშე სამართლის სამჴედრო სამსახურისათჳს.

განმგებლობა მეფის კარისა იყო ფრიად განვრცელებული, ყველაზე უფროსი იყო სახლთ_უხუცესი, სოლომონ მეფის დროს სახლთ_უხუცესობდა ზურაბ წერეთელი, კაცი

ძლიერი და მომქმედი. ის აწარმოებდა ყოვ-ველს საქმეს იმერეთში და უპირველესი მო-ვალეობა მისი იყო გაწერა და მოგროვება საჴელმწიფოთ ხარჯისა, საიდგანაც მეათედი ნაწილი ეკუთვნოდა სახლთ-უხუცესსა. ამას გარდა მებაჟენი მოუტანდნენ საჩუქრად ორსა ან სამს ქისსა წელიწადში და ოდესაც იანგარიშებდნენ მთელის წლის შემოსავალი-სა, მაშინ კიდევ მიართმევდნენ ერთს წყვი-ლის მის მესავეურის ტანისამოსსა. თუ მეფე უბოძებდა ვისმე ყმასა, ამ შემთხვევაშიაც სახლთ-უხუცესი გამოართმევდა თითო კომ-ლზე თითო ხარსა. თანამდებობა სახლთ-უხუ-ცესისა, აგრეთვე სხვა თანამდებობანიცა ეძლე-ოდათ შთამომავლობით, მაგრამ მამის მემკვიდ-რე არ იყო შვილი, გარნა თანამდებობა ესე მიეცემოდა ვისმე მისავე გვარისასა და ზოგ-ჯერ მეფე უბოძებდა ხოლმე სხვა გვარი-საცა ღირსების გვარად. მაგალითებრ უწინ სახლთ-უხუცესებად იყვნენ აბაშიძენიცა. ზურაბ წერეთელი იყო აგრეთვე დედოფლის სახლის გამძღოლიცა. ის იყო არა თუ მა-რტო სახლთ-უხუცესი, არამედ სამეფო დი-დებულთაგანი გამგებელი ყოველთა საჴე-ლმწიფოთა საქმეთა.

შემოსავალი მეფისა იყო შემდგომი:

1) შემოსავალი იჯარებიდგან 1809-სა წე-

ლისა 97 ქუხხა (ოსმალოური ფული) ანუ მანდილის ანგარიშზე 20,000 მანეთი. ქუთაის გარდა იჯარის ფული იკრიფებოდა ჩხერში და გარცახესა, მაგრამ ძალიან ცოტა. 2) საურნე, გროვდებოდა თითო კომლზე ორი მარჩილი (თითქმის ერთი მანეთი). 4) სადილეური, იკრიფებოდა კომლზე ექვს ექვსი ბათმანი ხორბალი (ბათმანი თვრამეტი გირვანქა) ანუ თხუთმეტი ბათმანი ღომი და ას ოცი თუნგი ღვინო. ამის გარდა გროვდებოდა პირუტყუჳ, მაგრამ კომლეულად არა, გარნა შეეწერებოდა მთელს სოფელს ანუ სამოურავოს ერთად; თითქმის ყოველითავს ათს კომლზე ერთი ძროხა და რამდენიმე ცხვარი და ქათამი. 4) რაჭის მთაში მცხოვრებელთა სოფლებსა: გლოლისა, ღებსა და ჭიორისა ერთმეოდა კომლზე თითო ცხვარი წელიწადში; სოფელი უწერისა ექვს ექვსი ბათმანი ხორბალი; სვანეთის სოფელს უშგულში კომლზე სამსამი ბათმანი თოვის წამალი. 5) 1311 კომლს სასასო ემართა ელჩთა სარჯი გარდაუწყვეტელი, სოლომ სახლით-უხუცესი შეეწეოდა თავის მიმხედველობით. საურნო სარჯი ერთმეოდათ 1685-სა კომლსა, და სადილეურო 430-სა კომლსა. და სხვანი გლეხნი მათის მებატონის სათრისავს იყვნენ განთავისუფლებულნი ამ სარ-

ჯიდგან. მეფის შემოსავალიად ირიცხებოდა აგრეთვე ჯარიმა, რომელსაც ართმევდნენ ქურდებსა; ქურდს ართმევდა ერთი ხუთად მეტი ნაპარევზე, ამ ხუთ ნაწილითგან ორი წილი შეირიცხებოდა საჯელისწივოდ, ორი წილი ეძლეოდა ნაპარევის პატრონსა და ერთი წილი ბოქაულთ-უხუცესსა. ყოველი ქონება ამოწყვეტილისა უმემკვიდროდ, თუ რომ გაყრილი იყო სახლიკაცებთან, შეირიცხებოდა საჯელისწივოდ; და ბევრჯელ მეფე უბოძებდა ხოლმე ამოწყვეტილის ქონებასა მახლობელის ნათესავებსა და გამოართმევდა მცირედსა ბაჟსა. საზოგადოდ შემოსავალი მეფისა იყო ძრიად ცოტა, მაგრამ არც საჯელისწივო ხარჯი ჰქონდათ მომეტებული.

დედოფალის შემოსავალი ჰქონდა საკუთარად. ივერების შემოსავალიდგან 12-ი ქისსა მიუჩენდა მას და ამის გარდა ჰყავდა 274 კომლი აზნაური და გლეხი. სრულიად მისი შემოსავალი დაფასდებოდა 1981 მანეთად 27 კოპ. თეთრ ფულად.

ბატონიშვილებსა ჰქონდათ აგრეთვე საკუთრება თვსი, ე. ი. საბატონიშვილო. უკანასკნელ დროს ნაწილი მათის საკუთრებისა შეირიცხა საჯელისწივოდ და დანაშთენი ეძლეოდა მზითვად მეფის ასულებსა.

მეფის ქონებისა და შემოსავლის განმგე-
ბლობისათვს სახლთ-უხუცესსა ჰქონდა შემ-
დგომნი თანაშემწენი, ე. ი.: 1) ხაზინთ-
უხუცესი; ამ თანამდებობისათვს ამორჩე-
ოდა ყოველთვის თ. ვ. ნაყოფიერებთაგანი; ის
გაიგზავნებოდა ღომისა და სოფლის მოსაკ-
რეფად. თითონვე იყო მოვალე მის შენა-
ხვისა და ამ ღ̃წლისათვს მეათედი ნაწილი
ეკუთვნოდა ხაზინთ-უხუცესსა. 3) მეღვინეთ-
უხუცესნი იყვნენ ორნი: სვიმონ წერეთელი
და ა. შ. იოსელიანთაგანი. თანამდებობა მათი
იყო მოგროვება და შენახვა ღვინისა, რომლის-
თვსაც იგინიც მიიღებდნენ მეათედსა. 4) მე-
სტუმრეთ-უხუცესი. ამ თანამდებობის ასრუ-
ლებელად ამორჩეოდნენ: ახ. მდივანბეგ-
თაგანი, იოსელიანთაგანი და საყვარელიძე-
თაგანი. ესენი მოაგროვებდნენ პურეულსა
რისთვსაც ეძლეოდათ ტყავი და თითო
ბათმანი ხორცი თითო მოსახლეზე.

ამათ გარდა მეფესთან იყვნენ შემდგომნი
თანამდებობანი ქუეშე მყოფნი პირნი: 1)
მოლარეთი ანუ ბეჭდის შემნახავი. ამ თანა-
მდებობისათვს ამოირჩევდა თვითონ მეფე თავ-
ავალიშვილთაგანსა, რომელიცა დაასვამდა
ბეჭედს სიგელზე და გამოართმევდა ხუას
მარჩილის თვით კომლზე, რომელნი გასც-
ებოძებოდა, და ამის გარდა იჯარების შე-

მოსავლიდგან თითო მანეთზე ორ-ორი გროშს იღებდა.

2) მალოფეთ-უხუცესი, იგინი იყვნენ ორნი თავ. წვრილფეხთაგანი, მათ ებარათ საჴელმწიფო ფული და ყოველი ქონება, რ..საც-ცა აიღებდნენ საჩუქრის გაცემის დროს მეფ-ეთქეს, რომელთაცა ღირდა ნაზომები ნივთი.

3). ფარეშთ-უხუცესი, ანუ მეფის მოსამსახურეების უფროსი. ამ თანამდებობისათჳს აღმოირჩეოდა ახ. აზნაურშვილთაგანი. მის მზრუნველობის ქვეშე იყო სასმელ-საჭმელი მეფის სახლისა. ამისათჳს ეძლეოდა საჩუქარი ჴელმწიფის ნებით და მეათედი მეფისაგან ნაზომების ტანისამოსისა. მასვე ეკუთვნოდა მეფის სადაგური ტანისამოსი, რომელსაც სიძველისაგამო აღარ იხმარებოდა. აგრეთვე მწოლი ქვეშსაგები, ხალიჩები, ქეჩები, ალი-თავა და ტაშტი.

4). მეჯინიბეთ-უხუცესი. ამ თანამდებობისათჳს აღმოირჩეოდა თავ. აზნაურშვილთაგანი, რომელსაც ჯამაგირად ეძლეოდა მეათედი მეფისაგან განსაჩუქრებულის ცხენებისა. ამის გარდა მეფის ჯოგიდგან, რომელშიაც იყო ოთხმოც და ცამეტი ცხენი, უნდა აეყვანა თითო კვიცი და რამდენიც თვალი წამხდარი ცხენი იქნებოდა. ამასვე ეკუთვნოდა მეფის ტანისამოსი, რომელსაც

მეფე გამოიცვლიდა ომში ან ნადირობაში და მეფის მჭურლი ყნაგირები.

5) ბაზიერთ-უხუცესი, ანუ. ფროჩიევთა-განი, რომელსაც ებარა მეფის მიმინო, ქორი, ბაზიერი და სხვანი.

6) მეძაღლეთ-უხუცესი, თავდვირიმეთა-განი, რომელსაც ებარა მეფის ძაღლები.

ჯამაგირად ამ ორთა თანამდებობისა ქვეყანაში მყოფთა ჰქონდათ მეათედი მფრინველისა და ხვასთაგისა, რომელიცა გროვდებოდა ქორითა და ძაღლებითა საზრდოდ.

ამისთანა ჯამაგირი რასაკვირველია ფრიად მცირეა, მაგრამ განსვენებული ზურაბ წერეთელი თავის ანბის აღწერაში, მეფესთან თანამდებობისა ქვეყანაში მყოფთა პირთა ზედა სწერს, და ყოველი მეფისაგან დანიშნული ჯამაგირს შემდგომ უმატებდა: «და სხვაცა ჰქონდათ სარგებლობანი». და არ არის ამაში ეჭვ, რომე ამ სხვა სარგებლობით შემინდებასა ყეჯლთა ცდილობდა და გაწერილზე მომატებულისა სარჯისა აგროვებდა თჳსს სასარგებლოდ. ეს თანა შემწენი სახლთ-უხუცესისა, რომელთაც არ ედვათ მოვალეობად ხარჯის მოგროვება, ყოველთჳს მეფისაგან გაცემულის საჭურჭლისა დაითხოვდნენ ხოლმე მომატებულად თავის სასარგებლოდ. მაგალ. მეფე გასცემდა საჭურჭლად თოფსა, ცხენსა და

ანუ სხჳსა რასმე ნივთისა, რომელიცა ღირდა ხუთ თუმნად, იგინი აფასებდნენ ოც თუმნად. ანუ ვინ იქნებოდა წინააღმდეგი ამისთანა დაფასებისა? პირველად, ამისთჳს ვერავინ უწინააღმდეგებდა, რომე ვერვის შეეძლო დაემტარებინა მნიშვნელობა მეფის საჭურჭლისა მცირე ფასითა, და მეორედ ამისათჳს, რომე თავ-მომწონებით ყველა ცდილობდა მეფის ნაზომარი მვირთვასად სჩვენებოდათ სხვათა გარეშე ხალხთა, თუმცა იმ ფასის მეოთხე-დათაც არ ღირდა. მეჯინიბეთუხუცესისათჳს ნახევარი ჯოგი იყო თვალი წამხდარი; ფარეშთ-უხუცესსა ხშირად უფუჭდებოდა ხალიჩები, ხშირად უხუნდებოდა ქეჩები, და ამ გვარი ზიანება ბევრი იყო, განა მარტო იმერეთში, სხვაგანაც ბევრგან. მეფის სიგელების მწერალნიცა სარგებლობდნენ, ოდესაც მეფე უბოძებდა ვისმე სოფელსა გაცემლა და დავიანება სიგლის დაწერისა არ შეეძლოთ, მაგრამ მუნწი კაცისათჳს დასწერდნენ მცირე ალნაქჳსით. ბოლოს მოაწერდნენ საზოგადო ალნაქჳსითა «და ვინც მ ო შ ა ლ ო ს ე ს ბ ო ძ ე ბ ი ს ს ი გ ე ლ ი წყეული იყოს.» და რომელნიცაგანაც მოელოდნენ კარგს საჩუქარსა, იმათათჳს წარმოადგენდნენ მშვენიერ სიტყუაობასა და დაბოლოვებდნენ ამ სახით «ამ სიგელის დამარღვეველისა ეწი-

ოს ლეკის რისხვა მსწრაფლად, და დაექცევს ოჯახი, ვითარცა მკვლელი კაინსა, და კრულ იყოს იგი ლეკის შემოსვლისა და თორმეტთა მაღალითა ქრისტეს მოწამეთაგან დაუხსნელად და შემდგომ ჩავარდეს უფსკრულსა შინა გეჰენიისასა და ცეცხლსა საუკუნოსა ეშმაკისა-სა. და დამამტკიცებელი ამ შეუცვლელის სიგელისა აკურთხოს ღმერთმა ქვეყანასაზე-და სასუფეველსა თჳსსა». ამ გვარი აღნაქ-სით დაწერილი სიგელი არ იყო ამათ კო-ხტობა. იგი აჩვენებდა მეფის ყურადღებასა და მეფის სიგელისა აძლევდა დიდსა ძლი-ერებასა.

ამისთანა მაზნიერობა იყო სამოქალაქო განმგებლობაშიაცა.

სოლომონ მეფის დროს იმერეთი იყო განყოფილი ექვს მაზრად სამოქალაქო გა-მგებლობისათჳს: ვაკე, კრიბა, საჩხეიძეო, არგვეთი, რაჭა და ლეჩხუმი; მაგრამ ამ გან-ყოფილებას განმგებლობის მნიშვნელობა არა ჰქონდა; ხოლო სამოურაოზე: 1). ქუთაი-სის სამოურაო, სადაც მოურაობდა ერითი თავ. წულუკიძეთაგანი. 2). ჩხერისა—თავ. წერეთელთაგანი. 3) ლომსიანთხევისა—აზ. მაჭავარიანითაგანი. 4) ხონისა—აზ. აბულა-ძეთაგანი 5) საჯაიჭაოსი—თავ. ლორთქი-ფანიძეთაგანი. 6) საჭავახოსი—თავ. ლორ-

თქიფანიძეთაგანი. 7) საჭილაო — აზ. კორძაიათაგან. 8) ფარცხანაყანევისა — თავ. ნიჟარაძეთაგანი. 9) ქუთაისისა — აზ. მდივანოვთაგანი. 10) გეგუთისა — თავ. იაშვილთაგანი. 11) რიონისა — აზ. მესხთაგანი. 12) ქუჩხირისა — აზ. აბაშიძეთაგანი. 14) ვარციხისა — თავ. წერეთელთაგანი. 14) სიმონეთისა — აზ. კლდიაშვილთაგანი. 14) მუხურისა აზ. საყუარელიძეთაგანი. 16) საზანისა — თავ. აგალიაშვილთაგანი. 17) გაცხინისა — აზ ლოლუაძეთაგანი. 18) საქარისა — თავ. აბაშიძეთაგანი 19) კვარისა — აზ. აბაშიძეთაგანი. 20) მინდისა — თავ. ლეონიძეთაგანი. 21) ხიდის კარისა — ამ თავადთაგანვე. 22) ჭიდროთისა. 23) დერბისა. 23) გლოლისა. ეს სამი სამოურაო ებარა თ. ჯაფარიძებსა. 25) ჭიორისა — აზ. ჯაფარიძეებთაგანი. 26) ჭყუსისა — თავ. გელოვანთაგან. ეს ზემო ხსენებულნი მოურავები ცხოვრებდნენ, ანუ მეფის ციხეებში, ანუ სადაც იყვნენ სასახლო ყმანი. საეკკლესიო მამულების მოურავებად ამოირჩევდნენ ეკკლესიის განმგებელთა ნებითა და საბატონო მამულებში მოურავებად იყვნენ თვითონ მებატონენი.

მოურავები აღმოირჩეოდნენ ხოლმე ერთისავე გვარისანი, ხოლო შემოსავლიდგან სარგებლობდნენ რამდენიმე ოჯახნი. ამ

გჭარად, ფარცხანაყანევის სამოურავო, უწინ-
დებულის მეფის სიგელით ეკუთვნოდათ ყვე-
ლა ნაჯარამეებს, ასრე რომე მოურავი მე-
ფისაგან დანიშნული ამ სამოურავოს შე-
მოსავალის გაჰყოფდა იმდენ ნაწილად, რამ-
დენი ოჯახიც იყო იმათ გვარში. ხარისხი
მოურაობისა შესძინებდა მათ შემდგომსა
სარგებლობასა: 1) მოგზაურობაში მათთვის
საჭმელი სასმელი იყო დაუკლებელი და
ამის გარდა შინაც მიერთმეოდათ ძღვენი.
2) ჰქონდათ ნება ერთის სასახლო ყმებიანი
წარჩინებული გლეხკაცი, ამოერჩია და ესა-
რგებლნა იმისაგან ყოველისფრით, რაც დე-
ბულებით იმ გლეხკაცს ედვა. 3) საჩუქრო
ქორწილებისა ეკუთვნოდა მოურავსა. 4) მოუ-
რავს მოუხნამდნენ, დაუთესამდნენ, მოუმკი-
დნენ და ამის გარდა მასცემდნენ მსახურსა.
5) ომში საგზალი უნდა ეზიდნათ გლეხკა-
ცებსა და საშოვრის რაოდენიმე ნაწილი მი-
ეცათ მოურავებისათვის. 6) თუ მეფე უბო-
მებდა ვისმე ყმასა ანუ მამულსა, მაშინ
საჩუქრის მიმღებნი მოვალენი იყვნენ მი-
ცათ სამოურაო იმ მოურავისათვის, ვის
სამოურავოშიაც იყო ყმა ანუ მამული.
თანამდებობა მოურავებისა იყო შემდგომი:
ჭურისგდება სალისა, რომ მშვდობიანათ
ეცხოვრნათ, თანაშემწეობა უნდა მიეცათ

იმისათჳს, ვისაც მეფე წარმოგზავნიდა რამე საქმის აღსასრულებლად, გაჭირვებაში თჳსის ხალხით უნდა გამოსულიყვნენ საომრად და უპირველესი მოვალეობა მათი იყო განრჩევა საჩივრისა თავის სამოურაოში.

უწარჩინებულესი მოურავი იყო ქუთაისისა, რომლისა ჴელქუეშ იყვნენ მამასახლისნი და მსაჯულის კარნი. თავის სახლოდ იღებდა: 1) სხუა და სხუა იჯარებისა შემოსავლიდგან სამ ქესსა, ე. ი. სამოც თუმან თეთრ ფულსა 2) მარილისა და თევზის იჯარებიდგან, იმის ნახევარს რომლებსაც მეფე იღებდა თავისათჳს, და ამ ნახევარს უყოფდა თავის თანაშემწეებს. 3) თითო საპალნეზე, რომელიც შემოიტანიდა ქუთაისს ხიდზე სამ ფარასა. 4) თითო დაკლულს საქონელზე ქუთაისში თერთმეტ ლიტრა ხორცსა. 5) თითო საქმის განრჩევაზე ხუთ მარჩილს. ამის გარდა ოდესაც მოვიდოდა ქუთაისში, მაშინ იქ მცხოვრებელნი მართმევდნენ ძღუენსა. ქუთაისის მოურავსვე ჰქონდა სარდლობის სარისხი და ამით იყო მისი თანამდებობა განვრცელებული და მდივანბეგებს არ შეეძლოთ განერჩიათ საქმეები მისის განმგებლობისა. თითონვე განარჩევდა საჩივარსა, გადასწყვეტდა და განაჩენს აღასრულებდა ან თითონვე ან მიანდობდა ვისმე

თავის კეთილქმწყვიისა. სხვა სამოურავოშიკა ყემაყოფილობით, მოურავის განაჩენისასა, შემდგომითი ცხოვლითა მდივანბეგებითან. თავადნი და აზნაურნი განისაჯებოდნენ სამდივანოში.

იგი იყო უმაღლესი სამსჯავრო, სადაც განისაჯებოდა სისხლის საქმე, აგრეთვე ყოველი საქმე სამოქალაქო ნაწილისა. ამ სამსჯავროში იყო ორი მდივანბეგი; სოლომონ მეფის დროს მდივანბეგებად იყვნენ: თავ. წულუკიძე, რომელმაც სოფლებით არ იცოდა წერა და კითხვა და თავ. ვახუშტი ჩიჯავაძე, კაცა მსწავლული და ფრიად გამოცდილი სამართალში. იგინი ცხოვრობდნენ ხან სოფლებში და ხან ქუთაისში და საჯავიდნენ საქმესა, ხან თავის სახლში, ხან გარეთ რომელსამე ჩრდილოვანს ხეს ქვეშა. დრო შეკრებულებისა არა ჰქონდათ დანიშნული. ოდესაც მდივანბეგები წავიდოდნენ ქუთაისიდგან სოფლად, მაშინ მოჩივარნი ელოდნენ რამდენიმე დღე. ოდეს იქნებოდნენ ქუთაისში, მაშინ კრება ჰქონდათ ყოველს ჟამს და ყოველს ადგილსა, ოდესაც ანუ სადაც საჭირო იყო. როგორც მოისმენდნენ საჩივარსა, მაშინვე ორივ მოჩივრებს გამოართმევდნენ საზჭოსა, ე. ი. შემოსავალს განაჩენისათვს, რომელიც ეკრიფებოდა მდივანბეგის სასარგებლოდ. შეძლებისამებრ

მოჩივართა და საქმის გვარად განსარჩეველითა საქმეთა, ერთმეორედათ ორმოც და ათ მარჩილამდე. ყოველი სამოქალაქო საქმე განირჩეოდა ფიცით; უნდა დაეფიცნა პასუხის მგებელისა რამდენიმე თანა-მოფიცარით, რომელნიც უნდა ყოფილიყვნენ სარისხნით თანასწორნი მოჩივრისა. თითქმის ყოველთვის ათ მარჩილიად ღირსებულის საგანზე იყო საჭირო ერთი თანამოფიცარი, ოც მარჩილზე ორი,—ამ რიგად. დასაფიცებლად ქირაობდნენ კაცსა. ვისაც არ შეეძლო ქირაობა ან მოთანხმება იმდენი თანა-მოფიცრისა, რამდენსაც საჭიროება ითხოვდა, ის გამტყუნდებოდა საჩივარში; ვინც წარმოადგენდა სრულიად და მათთან დაიფიცებდა, ის გამართლდებოდა. აქავე პატარა ქალაქის ნახევზე შეარდგენდნენ განაჩენსა და მისცემდნენ გამართლებულის მხარეს. მძიმე შეცდომაში: ქურდობაში, ცრუფიცში, ტყვეს გასყიდვაში, სისხლის დანთხევაში, მდივანბეგები მოისმენდნენ საჩივარსა, მას შემდგომ, საქმის მიხედვით ჰკითხავდნენ მოწმეებსა დარბაისელთა და გამოჩენილთა კაცთა, თითქმის ყოველთვის დაუფიცებლად და მცირეთა კაცთა ფიცით. თუ რომ საქმე იყო დახლართული და მოწმებს არ შეეძლოთ მისი გარკვევა, მაშინ ჭეშმარიტების გამოსაჩენლად დამნაშავეს უნდა

გაემართლებინა თავი თჳსი დაწესებულის გამოცდილებით ე. ი. გახურებული რკინით, მდუღარე წყლით და ერთი ერთმანეთთან ხმალში გასვლით.

ვახტანგ მეფის კანონით კაცის მკვლელს ედვა საზღაური ფულად, ათას ხუთას ოც და თერთმეტის თუმნიდგან თორმეტ თუმანამდე მოკლულის კაცის შთამომავლობის გვარად. უპირველესი თავადისშვილიდგან მეორე ხარისხამდე, მეოთხე ხარისხისა ვაჭრამდე და უკანასკნელ გლეხის კაცამდე ვახტანგ მეფისავე კანონით სხუა შეცდომისათჳს ედვათ საზღაური ფულად. ვერა სდევდნენ მეფე ვახტანგის კანონსა და არც იყვნენ ისრე მდიდარნი, რომ ეზღოთ ესოდენი ბევრი ფული, ამისათჳს მათ ჰქონდათ სხუა და სხუა სასჯელი როგორც მაგალითებრ:

1) ვინც გულში განზრახვით მოჰკლამდა კაცსა, მას დასწვამდნენ გროვა შეშაზე, ან ქვაბში ჩაკირამდნენ, ან ცოცხალს დამარხავდნენ, და ამის გარდა მკვდარის პატრონის სასარგებლოდ აზღვევინებდნენ ფულსა.

2) კაცის მომტაცებულსა და ტყუილად გამსყიდველს დასწვამდნენ გროვა შეშაზე; ვისაც გაეყიდნა სამზე მომტაცებული ტყვე, მას მოსჭრიდნენ ორივ ხელ-ფეხს; სამზე ნაკლების გამსყიდველს მოსჭრიდნენ ან

ჴელისა ან ფეხსა.

3) მეორეს ქურდობაზე; საქონლისა ანუ ნივთისა, მომპარველის გადაახდევინებდნენ ჯარიმას ერთის ხუთად, და თუ შენიშნავდნენ ვისმე ქურდობაში რამდენჯერმე, მას დასჯიდნენ ან სიკვდილით ან მოკვეთდნენ რომელსამე ასოსა.—

და 4) აშკარად სხვის საკუთრების მიმთვისებელს, ან მიწის ან ტყისა და ტყის მომჩეხს გარდახდებოდა ჯარიმა ერთი ორად პატრონის სასარგებლოდ და მეათედი მსაჯულთა სასარგებლოდ.

განჩინების შესრულებლად, რომელნიცა თავდებოდა სასჯელით, მოიწვევდნენ ეფისკოპოზნი და ზოგიერთნი წარჩინებულნი მოქალაქენი; და მეორეს განჩინების შედგენის დროს, აგრეთვე სამოქალაქო გადაწყვეტილებაში, შეეძლოთ ყოფილიყვნენ ყველანი, ვინც შესწრებოდა იქა, სადაც მდივანბეგები არჩევდნენ საქმესა.

ყოველი გვარი განაჩენს დასწერდნენ მდივნები, რისათვისაც გამოართმევდნენ მოჩივრეებსა სამდივნოსა. სოლომონ მეფის დროს მდივნად იყო დეკანოზი გრიგოლიაშვილი. უწინდელის დროში ეს თანამდებობა იყო ერთ გვარში იმდენი ხანი, რომა ამ თანამდებობის გამო დაერქვა მდივანიშვილი. ალე-

ქსანდრე მესამის მდივანი იყო სომეხი ამი-როვი და მგონია მდივანიშვილიც იყო ნასო-მხარი. მაგრამ ეს თანამდებობა არ იყო ძა-ლიან მკვიდრი; მის აღსასრულებლად მოუ-წოდებდნენ ვინც შეხვდებოდათ წიგნის მცო-დნე, მღვდელი ან დიაკონი. მდივანს ახლდა არგან, რომელიც აგროვებდა საბჭოსა, და ამ შემოსავლიდგან სარგებლობდა ოთხ ფა-რას თითო მარჩილზე.

ქურდების, ავაზაკების და სხვა გვართა და-მნაშავეთა საპოვნელად და წარსადგენელად სამსჯავროში, იყვნენ ხევისთავნი. სოლომონ მეფის დროს ხევის თავად იყვნენ თავ. წუ-ლუკიძე და აზ. ბარათაშვილი. ამ თანამდე-ბობის აღმასრულებელნი იღებდნენ მეხუთედს ჯარიმისას; რომელიც ერთმეოდათ დამნაშა-ვეთა. ქურდების მებნის დროს საჭმელ-სას-მელი ეძლეოდათ გლეხთაგან, უმეტესად ვინც იყო ეჭვს ქვეშა.

სამოქალაქო და სხვა ყოველი გვარი სა-ქმე, სისხლის დანთხევისა, დაბოლოვებული ჯარიმის გამორთმევით, აღსრულდებოდა ბოქაულითა მიერ; სადაც ბოქაულთ-უხუ-ცესი იყო უფროსი მათი, მთელს იმერეთ-ში. ბოქაულთ-უხუცესად აღმოირჩეოდა ერთი წერეთელთაგანი, რომელიც იღებდა შემდგომს შემოსავლისა: 1) სამსჯავროჲსა

განაჩენის აღსრულებისათვს იღებდა მეათედს სადაო მამულის ფასისა ან მეათედს ჯარი-მისასა. 2) თანამოფიცართა წარმომდგენელო-თაგან იღებდა თითო აბაზსა თითო თანამოფი-ცარზე. 3) თანამოფიცართაგან მეათედს, რა-ოდენსაც იგინი აიღებდნენ ფიცისათვს. და 4) საურის მოგროვებაზე, თითო ოჯახიდგან, რომელიც აძლევდა ამ ხარჯსა, ცამეტ ფა-რას. ამ უკანასკნელის შემოსავლიდგან მოქალაქეთ უხუცესი ნახევარს მისცემდა მო-ქალაქეებს, რომელნიცა განიყოფდნენ ერთა-მანეთში. ამის გარდა გლეხთაგან სარგებლო-ბდნენ საგძლით და ომში საშოვრის ნაწი-ლით.

სასჯელის შემასრულებლად დაინიშნე-ბოდა ერთი მეფის მცუწლითაგანი; იარაღად ჰქონდა გახურებული ცული, დასასჯელი ადგილად იყო დანიშნული სასასხლო მინ-დორი, სადაც ამ გვარ შემთხვევაში შეიყე-რებოდა მრავალი ხალხი. აქ ცაცხვების სია-ხლოვეს უკანასკნელ დროებამდისინ იყო დიდი ქვაბი, რომელშიაც ჩასუამდნენ დამნა-შავეს, ზედ წააყრიდნენ კირსა და დაასხამ-დნენ წყნარად წყალსა. ეხლანდელი მეწლი-ხიდთან იყო ოთხი ხის სვეტი, ამ ოთხს სვეტ შუა დასწყვავდნენ ხროვა შემაზე ტყუპ გამსყიდველებსა და ქურდებსა.

სოლომან მეფე იყო შემბრალებელი კაცი და ზოგიერთს დასასჴელად შენიშნულის განათავისუფლებდა ხოლმე სასჴელისაგან, ხან და ხან მსაჴულთაგან გამტყუნებულთა მისცემდა განსაცდელისა. ამ გჳარად ერთჴელ ერთი აზნაურშვილი დასასჴელად შენიშნული ქურდობისათჳს, და ჰსთხოვა შეწყნარება ოდესაც მიჰყავდათ დასასჴელად — «ჴელმწიფეო, შესძახა მან, ღმერთსა ვფიცავ, რომ მე არავარ დამნაშავე, ბოროტთა კაცთა დამაბეზღეს. იმათ შემშურდათ ჩემი სიმდიდრე: რომა მაქჳს ყოველთჳს ხორბალი და ღომი, ღვინო და ხორცი, და მათ ჩემი სიმდიდრე მიაწერეს ქურდობასა. მეფემ ბძანა დაყენება სასჴელის აღსრულებისა და მისცემა განსაცდელისა, რომელიც იქავე შესრულდეს. აზნაურშვილი ჴურეთ მოჭქნედ და დიდხანს ლოცულობდა, მას შემდგომ მიიყვანეს ცეცხლთან, დააფარეს ჴელის გულზე ცხრა კეცი ქაღალდი და დასდვეს ზედ გახურებული რკინა: პირველად შეკრთა, შემდგომ გადადგა სამი ნაბიჯი და გადააგდო რკინა. გახურებულმა რკინამ დაჰსწვა რვა კეცი ქაღალდი, მეცხრე მხოლოდ გაშავდა, დაიხრუკა და ჴელი დარჩა უვნებელი. ამ შემთხვევამ აღტკვრა ხალხი და უფრო დაარწმუნა მასზე, რომე ამ გვარი ავაზაკების გამოც-

დილეგში არის შეყუდომილი.

ხშირად მეფესთან სჩიოდნენ სამოქალაქო საქმის გარდაწყვეტილებაზე. მეფის ნებით იყო მიღება და ყურის თქმა; და ოდესაც მიიღებდა საჩივარსა, მაშინ დაიბარებდა მდივანბეგებსა და თუ ვერ შეიქნებოდა კმაყოფილი მათის განმარტებისა, განრისხებით დახევდა განაჩენსა და შეადგენინებდა მასვე ჟამს ჴელახლად; და თუ შეიქნებოდა თანახმა მათის გარდაწყვეტილებისა, ხან და ხან დაასმევინებდა ბეჭედსა: — და მაშინ განაჩენი იგი მიიღებდა ძალასა ვითარცა მეფის სიგელი.

ამ გვარად, გაჩინდებოდა ყოველი საქმე მწრაფელად და სამსჯავროში არა რჩებოდა ძველი გარდაუწყვეტელის საქმისა. ზოგიერთის მდივანბეგს შეეძლო ახალწლისათჳს მიეცა ჩინებული ანგარიში. რასაკჳრველია ძალიან კარგია, მაგრამ აქ იბადება უნებურად ჰაზრი კითხვისა. — კანონიერად და ჭეშმარიტის სამართლითი თავდებოდა საქმე? ეს კი ფრიად საეჭვოა. საეჭვოა პირველად ამისათჳს, რომე დავიცების ნება, რომელიც იყო კანონის საკუთმეწლი ყოველის განაჩენში, ემლეოდა ისრეის მოწმებსა, რომელთაცა არ იცოდნენ სიმართლე და სიმტყუნე საჩივარისა და ერწმუნებოდნენ მარტო იმის სიტყჳსა ვის სასარგებლოთაც ფიცულობ-

დნენ და რომელისაც შეეძლო გარდაეხადა მათთჳს სამაგიერო, ანუ ფულითა ანუ სხვითა რითიმე; მეორეთ, ამისათჳს, რომე სოლომონმან მეფე ბოლოის დროს, როგორიცა ზემოთ აღვსწერეთ, იყო სრულიად ზოგიერთთა წარჩინებულთა თავადთა ჴელსა შინა, რომელნიცა ცბიერებით ეჩვენებოდნენ მეფესა, ვითარცა მართლ მსაჯულნი. მიმოჳსებელნი საჴელმწიფოისა და საზოგადო ქონებისა, იგინი თითქმის ეგრეთვე ჴელმწიფისათან სამსახურში მეფისა, აამაღლებდნენ თავადნი დაჩაგრულის სჯულზე და აწუხებდნენ საწყალ მეპატრონეებსა და ჴელმწიფის კარზე მსახურნი და მეპატრონენი აწუხებდნენ და აოხრებდნენ უბედურ გლეხკაცებსა. ამ გვარის მმართველობით, თუმცა მსწრაფლად ინახებოდა საჩივარი მდივანბეგებისა და მოურავებისა მიერ, მაგრამ იმერეთი უწინდელს დროში, როგორცა სჩანს მათგან ნაწარმოებთა საქმეთაგან იყო არეული, შეწუხებული და შესაბრალისი, და გვარის მმართველობის განგებობა ჰსურდა მართლ იმას, ვისაც უნდოდა სარგებლობა ანგარებითა და ვისაც უყვარდა მღვრიე წყალში თევზის დაჭერა.

ახლა განვიხილოთ, იმერეთში ვითარი სამხედრო გამგებლობა იყო.

ვიწყებთ მეფის მიწანიდგან და ვახსენებთ

აღწერილდგან სჩანს, რომე იმერეთის მეფე-ებსა წარჩინებულს დროში, ოდესაც ჯერ განუყოფელნი იყჳნენ ქართლი ჲ იმერეთი, ჰყვანდათ გაწყობილი ლაშქარი ჲ დავით აღმაშენებელს ჰყვანდა მარადის ჯამაგირით სამოცი ათასი იარაღიანი კაცი. ხოლო განყო-ფისა დროსა სახელმწიფოჲსა ალექსანდრეს მეფის შორის მეთხუთმეტე საუკუნოში, იმე-რეთის მოუძლურების დროს აღარა ჰყვანდათ წყობილი ჯარი. მათ მაგიერად იყჳნენ აზ-ნაურნი ჲ მსახურნი ჲ ყოველს ჟამს უნდა ყოფილიყჳნენ მზათ ომში წარსასვლელად.

ამას გარდა, მათ ეყენათ ყარაულნი ციხე-ებში, გზებზე ჲ ტყეებში, რომელიც იყო წარჩინებული სიმაგრე იმერეთისა. პირველი ხარისხის ციხეები იყვნენ შემდგომნი: ქუთა-ისისა, შორაპნისა, ბაღდადისა ჲ ცუცხვატისა; ჲ რადგანაც ამ ციხეებში გამაგრდებოდნენ ხოლმე ოსმალოთა გუშაგნი ამისათჳს მეფე სოლომონმა გამორეკა ციხეებიდგან ოსმალონი რუსის ჯარის თანაშეწევნით ჲ დააქცია ის ციხეები, რომ მეორეთ ოსმალოთ აღარ შესძლებოდათ იქ გამაგრება. რიცხვ ჲ მდგო-მარეობა დანაშთენის ციხეებისა, სოლომონმან მეფის დროს, იყო შემდგომი:

### მეფის ციხენი:

1) ქვარის ციხე, რომელშიაც იყო სამი ზარბაზანი, ორი ყუმბარის სასროლი და ოთხი ციხის თოფი.

2) მინდა — ერთი ზარბაზანი, ერთი ზამბურაკი და სამი ციხის თოფი.

3) ჭყვიში — ორი ზარბაზანი, ორი ზამბურაკი და ხუთი ქლაზაირი.

4) მუხური — ერთი ყუმბარის სასროლი, ოთხი ზარბაზანი, სამი ზამბურაკი და სამი ციხის თოფი.

4) ჩხერი — სამი ზარბაზანი, სამი ზამბურაკი და ათი ციხის თოფი.

6) ჭიდროთი — ხუთი ციხის თოფი, და

7) ვარციხე.

### მებატონის ციხენი.

1) საპაიჭაო, თავ. ჩიქავაძისა, ორის ზარბაზნით, და სამი ზამბურაკით და რვა ციხის თოფით.

2) პატარა, ერთის ზარბაზნით.

3) ნაგორევი, ორის ზარბაზნით და ექუსი ციხის თოფით.

4) ხოტევი, ორის ზარბაზნით და ექუსი ციხის თოფით.

ეს სამი ციხე ეკუთვნოდა თავ. წულუკიძეებს.

5) ორი, ერთის ზარბაზნით.

6) მოდანახე, ექვსი ზარბაზნით, ორი ზამბურაკით და ორის ციხის თოფით.

ეს ორი ციხე იყო საკუთრება თავ. წერეთლებისა.

7) მოჩანციხე, თავ. ერისთავისა, ერთის ზარბაზნითა და ხუთი კედლის თოფითა.

8) სადმელა, თ. იაშვილებისა, სამის ზარბაზნითა და ათი ციხის თოფით.

9) ტკაჩირი, თავ. აგიაშვილებისა, სამის ზარბაზნით და ორის ზამბურაკით.

10) სვერი, თავ. ერისთავისა, ერთის ზარბაზნით.

13) ტოლა, თავ. გელოვანისა, ერთის ზარბაზნით და ცხრა ციხის თოფით.

12) ხონჩქარი, თავ. ყიფიანებისა, სამი კედლის თოფით.

მებატონის ციხენი იყვნენ სრულის განკარგულებასა ქუეშე მისთა მებატონეთა და მეფის ციხენი განსაკუთრებით დანიშნულთა მოურავთა ანუ სამხედროთა მთავართა განმგებლობასა ქუეშე. ეს მოურავი მოვალე იყო, რომ ყოველის ღონისძიებით დაეცვა ციხე მტერთაგან, მისს კელ-ქუეშ იყვნენ ციხეში მყოფნი გუშაგნი და იღებდა ჯამაგირსა

გარეშემო მდებარე სოფლებთაგან, რომელ-
თაც ამის გარდა ედგათ საციხო ხარჯი ესე
იკრიფებოდა საზდოდ ციხეში მყოფთა გუ-
შაგთათჳს. ყოველთა მოურავების უფროსი
იყო ციხის_თავი. ეს თანამდებობა იმერეთში
უწინ იყო უპირველესი, სახლთ_უხუცეს-
ზედაც უმაღლესი და ეკუთვნოდათ თავ. ჩი-
ჯავაძეების საგვარეულოსა. ხოლო ოდე-
საც დიდმა სოლომონ მეფემ დააქცია ზემო-
ხსენებული ოთხი ციხე, მაშინ ხარისხი ხე-
ვის თავისა თითქმის აღმოიფხრა და აღმოჩ-
დნენ უპირველესნი მხედართ მთავარნი ე. ი.
სარდალნი. სოლომონ მეფის დროს იყვნენ
სამნი სარდალნი; უფროსი მას შორის, თავ.
ქაიხოსრო წერეთელი, რომელსაცა თჳსსა
უსაშუალო განმგებლობასა ქვეშე ჰყვანდა
ჯარი ეხლანდელის შორაპნისა და რაჭის
მაზრისა. და ოდესაც შეიკრიფებოდა ჯარი
სხჳა მაზრებისაცა ერთად, მაშინ ის განმგე-
ბლობდა ყოველსა ჯარსა ზედა. იმასა ჰქონდა
ორი ბაირაღი: ერთი მწვანე აბრეშუმის
ფარჩისა წმინდა გიორგის ხატით, მეორე
წითელი ადგილიანი ფარჩა და ზედ გამოხა-
ტული ჯვარცმა იესო ქრისტესი. ოკრიბის
სარდლად იყო თავ. აგიევი, რომელსაც
ჩაბარდა აბაშიძის შემდგომ ციხეები და იყო
ციხის_თავადაცა. ბაირაღი ჰქონდა თეთრი და

ჩალისფერი განდიდურისა, ზედ გამოსახული ჯვარი, აგრეთვე მთვარე და მზე, მიბმული აბრეშუმის ზონრებით, ორის ქანჩით ბაირაღის ტარზე. ჯვარი ვაკისა ანუ ქუემო იმერეთისა ებარა ქუთაისის მოურავს, თავ. სვიმონ წულუკიძეს, რომელსაცა ჰქონდა აგრეთვე თავისი ბაირაღი. ომიანობის დროს სარდლები გადმოჰკიდებდნენ ციხეებზე ბაირაღებსა და მცირეს ხანში მთელს იმერეთში შეიქნებოდა ალიაქოთი, ბუკის ყვირა, რომელიც იყო ეკკლესიაში ხალხის შესაგროვებლად. ბუკები გააუქმეს იმერეთში ამღვრევის დროს 1820-სა წელში. ბუკის ყვირის გამო ცხენოსანი თავადნი და აზნაურნი, ქვეითნი მსახურნი, წინათვე დანიშნულნი საომრად; სარდლების ბაირაღსა ქუეშე მდგომელნი საჩქაროდ განემზადებოდნენ სადაც საჭიროება ითხოვდა, და დანაშთენნი გლეხნი განემზადებოდნენ ციხის, ხეობის და მთის დარაჯად; ამის გარდა მარქაფად დასტოვებდნენ ჯარსა, რომ საჭიროების დროსა იგინნიცა მოურავების განკარგულებით მიეშველებოდნენ სადაც საჭირო იყო, საგძალი რამდენსამე დღისა ჰქონდათ ყუელის თანა და ამ საჭიროებისათვის ყოველს ჯარის ნაწილში ჰყუანდათ საპალნის ცხენები. სხუა გუარ შემთხვევაში, ოდესაც დარჩებოდნენ

ზაომრად დიდხანს, მაშინ საგზალის მოაგრო-ებდნენ გარემშემო მდებარე სოფელში, უთა-ნასწოროდ ვინც შეხვდებოდათ. რიგი და და-მჯერობა ჯარის კაცთა შორის არ იყო. მთელს ერთს ხამასრო ხალხსა ჰყვანდა ერთი მოურავი, რომელსაც არ შეეძლო ყველა დაერიგებინა და ამის მიზეზით ხშირად მოსდებოდა ხოლმე ურიგობა და მძლავრობა. ვინც მოერიდებოდა სამსახურსა, მას შესარ-ცხჳნლად ყაბალახის მაგიერად დახურამდნენ ლეჩაქსა; ვინც ახირებით უარს ჰყოფდა ომში წასვლასა, მას მეფე ჩამოართმევდა ყმასა, რომელიც იმისათჳს ეძლეოდა აზნაურშვილსა, რომე მათის თანაშემწეობით შესძლებოდა ომში წასვლა. ნიშანი წარჩინებულებისა, დაწესებული იმერეთში არა იყორა; და თუ თჳსის ერთგულობით ანუ განსხჳაებული გამარჯვებით შეიქნებოდა ვინმე ღირსა ჯილდოჲსა, მაშინ მეფე თჳსის მიხედუ-ლობით მისცემდა საჩუქრად: თოფსა, ხმალსა ტანისამოსსა, ცხენსა, სოფელსა, ან დაიახ-ლოვებდა თჳსთან და მას შემდგომ უბოძე-ბდა სასარგებლო თანამდებობასა. მაგრამ იგინი ომში საშოვარისათჳს უფრო მიდი-ოდნენ, და ამის მიზეზით მოსამზღჳრე ხალხსა სამეგრელოჲსა, გურიისა და იმერეთისა იყვა-ნენ ყოველთჳს აკლებულნი მტრისა და თჳსის

საკუთარი ჯარისაგან, რომელნიცა ართმევდნენ ყოველის ფერს, რასაცა შეიძინავდნენ.

მეფე ვახტანგის კანონში დავლიაზე არის დაწერილი რამდენიმე მუხლი, მაგალი: 1) სამოგვარო: ოქრო, მპარავსა თვალი ოქროს ქსოვილი ფარჩა ყიყოვანის მეფეს; ვერცხლი და მოკლულთა ომში დამსწრე თავადისმვლისა და დანაშთენი ნივთი მმოგვნელისა. 2) თუ თავადი, თავის ჯარით იმოგვნიდა დავლისა ომში, ყოველი ნაწილი უნდა მიერთმია მეფისათვის და ორი წილი გაეყოთა ერთმანეთშია. და 3) თუ ვინმე ომში დაიჭერდა ტყუესა, დამჭერისა იყო ყოველი ქონება ტყვისა და ტყუე უნდა წარედგინა მეფესთან. ამ წესს ასრულებდნენ ძალიან ცუდად: არც ოქროს, არც ტყუეს მეფეს არ აძლევდნენ, ხოლო სამეფო იღებდა დავლის ნაწილს, თუ რომ დავლა იყო მეტი ჯარის ნაშოვნი და ჯერ ჯარი არ დამშვიდებული იყო და არ გაეყოთ ერთი ერთმანეთში.

ოდესაც მეფე დაესწრებოდა ხოლმე ომში, მაშინ ბევრჯელ შეხვდებოდა ხოლმე კარგი საშოვარი. ესრეთ მაგალითად, იმერეთის მეფენი ხშირად ჩადიოდნენ ზუგდიდში და მაშინ ყოველი ქონება დადიანებისა შეიქნებოდა იმერეთის მეფის სახაზინოდ. მეფე

სოლომონ მეორე, რამდენჯერმე შეებრძოლა მეგრელებსა. სხვათა შორის, 1794-სა წელსა, — სოლომონ მეფემ დაამარცხა ო. დადიანი და დიდხანს იყო იმ ადგილის გარშემორტყმული თავის ჯარით, სადაც ბიძა მისი დავით იყო გამაგრებული. მეფე სოლომონს ჰყვანდა ხუთი ათასი კაცი, რომელნიმე ზარბაზანით, ყორმებზე. გამაგრებული ადგილის მახლობლად დასცეს ოსმალური კარავი მეფისათვს, თავადებმა აშენეს თავიანთვს ფანჩატურები. სხვა ჯარის კაცნი დადგნენ კლდეებში და ხეებს ქვეშ. სოფელის მეფის მცხოვრებელითა, რომელნიცა შთამომავლობით იყვნენ აღმსრულებელნი ინჟინერულისა საქმისა, იწყეს კეთება ნაღმისა ადგილსა ქვეშ, სადაც იყვნენ გამაგრებულნი მტერნი, საჩქაროდ გაწყეს ზარბაზნის დასადგმელი თვლები, თოფის მსროლელთათვს მოამზადეს თხრილი, და მას შემდგომ ყუმბარის სროლა იყო რამდენიმე დღე ერთი-ერთმანეთზე. რადგანაც სიმაგრე ჰქონდათ მიუდგომელი, ამისათვს მეფე დაბრუნდა გაუმარჯვებელი, გარნა დიდის დავლით და ტყვე. შერიგების შემდგომ, თითქმის ყოველთავს ან ტყვეებს შესცვლიდნენ, ან დაახსნევინებდნენ ფულით. ხოლო მეგრელნი, მოატყებულად სყიდნენ ოსმალებში.

მშვიდობიანობის დროს, ჯარს დაითხოვდნენ თავ-თავის სახლებში, ჴელ-ახლა შეგროვებამდისინ, ამის გარდა სამარადისო სამსახურში დარჩებოდნენ ციხისა და მეფის გუშაგნი, მეციხოვნენი და ქეშიკნი. მეფის გუშაგობა ედვათ ზანოჯში მცხოვრებელთა, რომელნიცა იყვნენ ქეშიკთ უხუცესთა გამგებლობასა ქუეშე. ქეშიკთ-უხუცესად იყვნენ, რიგით, სამნი ძმანი თავ. აგიაშვილები. მათ ჰქონდათ საზდოდ: 1) დავლის ნაწილი, რომელსაც მეფე უბოძებდა ვისმე. 2) მეფისაგან დაწესებული კაცის ცხენი და იარაღი იყო მათი. და 3) საბორკილო, ე. ი. ვისაც ტუსაღობითგან განთავისუფლებდნენ. ქეშიკნი იყვნენ მცველნი მეფის კარისა, სამი მათგანი ყოველს ჟამს იყვნენ მეფესთან გაწყობილი თოფებით. ღამე იდგნენ მეფის საწოლი ოთახში და იახლებოდნენ მეფეს ყოველთვის. დედოფლის ოთახშიაც, აქ დადგებოდნენ იმ ოთახის კარებში, სადაც მეფე და დედოფალი მოისვენებდნენ. ამათ გარდა მეფის სასახლეში იყვნენ ასი კაცი, შეიარაღებულნი თავად-აზნაურნი, უსაშუალო გამგებლობასა ქუეშე ბოქაულთ უხუცესისა, რომელიც შეაგროვებდა და რიგით გამოსცვლიდა გუშაგობიდგან. ეს იყო ცხენოსანი მხედრობა (**Конная гвардія**) რომელნიცა

განუშორებლივ იახლებოდნენ მეფესა მგზავრობაში და ომში. ჩაცმა-დახურვა ჰქონდა ისრეთი, როგორც სხვათა იმერელთა. ისევ ის ჩოხა, ქუდი გრძელი ბოჭკოიანი, იგივე საჭურველი, ხოლო ჩოხაზე ჩამოიკიდებდნენ ვერცხლის მეწკვებით სხვა და სხვა მოსახმარის იარაღისა: საწრავის, საპირისწამლეს და სხვათა. ახლანდელი ხმლის მაგიერად ჰქონდათ—ლიკური. ამ ნაირად შემოსილი მხედარი კარგს ცხენზე მჯდომი, კარგი შესახედავი იყო. ხოლო წარჩინებული ღირსება იმერლებისა, რასაკვრველია, არ იყო იარაღის ხმარება, არცა მდიდრული ჩაცმა-დახურვა, არც სიმარდე, გარნა პირადი გულადობა, რომელისაც იგინი ამტკიცებდნენ რამდენსამე საუკუნეს. რამდენჯერ განათავისუფლეს იმერეთი ოსმალთა მფლობელობისაგან, და რომელიცა აგრე ბრწყინვალეთ განამართლეს უკანასკნელ ოსმალებისა ბრძოლაში. ამ გვარ საქმეში იმერელთ დაედარებიან მხოლოდ გურიელნი.

მ. ყიფიანი.

1859-ს. წელსა.
5-ს ნოემბერსა.
ტფილისის ქალაქ.

## კიტრების დამარილება.

---

უმთავრესი საშუალობა კიტრის დამარი-ლებისა, რომ დაიცვან რამდენიც შესაძლე-ბელია გემოვნება, არ მოლბნენ და არ წახდე-ნენ, შეგვიძლიანთ მივსწვდეთ შემდგომის ღონის ძიებით: კიტრები უნდა მოიკრიფნენ მშრალს და მზიანს დღეს უმწიფუკონი, ამასთა-ნავე არ უნდა იყვნენ გაყვითლებულნი; შემ-დგომ უნდა გაირეცხოს ცივს წყალში, გაი წმინდოს მშრალად და გაიშინჯოს სიფრ-თხილით, რომ არ იყვეს დარჩომილი მათ-ზედ სისველე, რომლისაგანაც ეძლევა უსა-სიამოვნო გემო.

გაწმენდილი ამ გვარად კიტრები, უნდა ჩაიწყოს კარგა გამორეცხილ ბოჭკებში, შემდგომის სახით: ბოჭკის პირში პირველად უნდა ჩაიწყოს მუხის ფოთოლი, კამა და აგრეთვე რამდენიმე ნაჭერი ხრენისა; შემ-დგომ უნდა ჩაიწყოს რიგ რიგათ კიტრები

მაგრად, ახლოთ, ერთიერთმანეთზედ და მოეყვა-რის თანასწორი შაბი; ზემოდამ კიდევ წყობა ფოთოლებთა იმავე მოყრილებითა, და ისე გა-ნაგრძელოთ მინამდისინ არ აიმსება ბოჭკა თავამდინა, მერე უნდა დაესხას ზემოდამ შემ-დგომის სახით მარილ-წყალი: ოცის ლიტრა წყლისათვს უნდა აილებდეთ ორის გირვანქა მარილისა და მოადუღებდეთ ყრათათ, და იხდე-ბოდეს ქაფი, ვიდრე სრულებით მარილი არ დადნებოდეს, შემდეგ უნდა დაემატოს ერთი კარგი ბოთლი ცხარე ძმარი, ათიოს კარგათ ერთიათ და დაესხას ამ გვარად ცხელი მარილ-წყალი, ჩადებულს კიტრებს, ასე რომ სრულებით დაიფარონ ამ შეზავებულის მარილ-წყლითა, დახურონ მაგრად ბოჭკას და დაიდგას ცივს ალაგს.

რადგან კიტრები შეისჭამენ თვით მა-რილ-წყალსა და იმის გულისათვს, ერთის კვირის გასვლამდეს, უნდა დღე გამოშვებით გაიშინჯებოდეს და ემატებოდეს მარილ წყალი, მანამდისინ ბოჭკა, სუყოველთვს სავსედ არ დაშთეს; მაგრა დაიხურონ პირი, გაიფისოს ბოჭკა, და სრულიადის გაწმო-რებისათვს გარეშე ჰაერისაგან, თოკზედ მობმული უნდა ჩაიკიდებოდეს ჭაში ანუ დაგუბებულს წყალში.

ამასთანავე უნდა ესეცა ვსთქვათ, რომ

კარგად დაცვისათვს ვალტრუბისა, ბოჭკვები უნდა იღებენ პატრუბი, ასე, რომ დანაგლეჯ-ლიებული ბოჭკო ჩქარა დაისხრჯოლს; ამისა-თვს რომ, შეხებისაგამო გარეგანის ჰაერისა ვალტრუბი ჭკნდებიან და ჰკარგვენ თავიანთ გემოს. შეზავებული ამ გვარად ვალტრუბი შენახული იქნებიან, მეორეს ახლის მოსვლა-მდის და არიან ჩინებულის გემოვნებისანი.

## მსწავლეული მეცნობელობა.

უ. ფოქველონმა მოიგონა ახალი ლონის-ძიება — არტეზიანის წყლის ამოსხმისათვს, რომ-მელსაც აქუს უსაციელო უალტესობა ვიდრე უწინდელსა. უ. ფოქველონი — გაზეულის რკინის კილების მაგიერად ხმარობს, ცარი-ელის კერს ანუ ლიუელებს ბზარილით მოჭრი-ლებს ერთიერთმანეთზე. მის, ლიუელის წვერ-ზედ დამაგრებულია ციბრუტი, მეჭონე სი-განისა რამდენიმე მეტით, ლიუელის სიგანე-ზედ, ასე, რომ ამოსხმის დროს ლიუელებს და ამოსხმული მიწის კედლებს შუა რჩება ხალვათი ადგილი (სივრცე და ფართოება.)

იმ დროს, როდესაც იწყებენ მოქმედე-ბასა ციბრუტით, ლიუელებში უშვებენ მო-ჭირებით წყლის საქანელითა, საკმარად რაოდენობას წყლისასა, რომელიცა ჰშოუ-

ლითოზს სალუვათსა ადგილსა, გარეშემო გარეგანის ცარიელის ქედლების ლუყლებით, მიუმართიუბი მალით და მიიზიდავს თჳსთან ნაწილით მიწისასა, თანაშემოზომილად მისსა რაოდენობისაც იგინი ჰგროვდებიან მოთხრილის მიწისაგან.

მაშასადამე ეს ღონისძიება იხსნის მუშაკთა თხრილის ამოწმენდისაგან და სხუა და სხუა მიწის ნაწილისაგან.

შეერთებით უწინდელის ღონისძიებასთან, წარმოგვიდგენს დიდს მოგებასა დროებისასა საჭიროს მუშაობის დროს.

მაგალითებრ: ჰერმანიაში, მუშები ჰთხრიდნენ ორს არტეზიანის ჭებსა, ერთს ნაირს ნიადაგის მიწაზედ, ერთი უწინდელის და მეორენი ახლის ღონის ძიებით; პირველი არ იყო თითქმის გათავებული თერთმეტის თვის უკან მუშაობითა, რომელსაც უკანასკნელი იყო გათავებული ორის კვირის შემდეგ.

ორთავე ამ ჭებსა ჰქონდა სიღრმე 170 მეტრი.

თ. პლ. ციციანოვი.

# ბარბემბა

ჟურნალის რედაქტორს კერესელიძეს.

თქუენს განცხადებას მოუძღუენ მადლობას მესმა, და საწუხრად ესე მაქუს გვიან მესმები უფალი არდაზიანის კრიტიკას, რომელიცა მოსმენამ გაიცაცა ჩემი გრძნობა და მიიღწა ყურადღება. უფალი არდაზიანი ჰყვედრის უსწავლელ ქართსა შინა განცვოფრებული ლექსების მოსწვევლით. უსაზღურობა მესაზარავი უსაგნოდ ლექსებში არ იქნება, რამთენის ნივთისაგანაც ჩუენ ვართ შექმნილნი იმისავე მალე განჭყროფს ჩუენ შორის სხუა და სხუა ცვალანცვებად და ბუნებას თავისის გრძნობით და ნიჭიერებით, მიეკარებით: ზოგი აქუსთ ცვალან-ვი ლექსთა წყობისა, სხუათა პრიზისა და გვითომე გალაკურობისა, ამისთვის რად უგრძნ-

ღუენ საზოგადოთ, არ ყოფით ის ცხოვრება, რომელ-
საც დასწერენ ზოგნი ლექსს, ზოგნი პროზას
და შემდგომ წაკითხვისა მშვენიერისა თხზულე-
ბისასა ჩამოგდებენ ცეცხლში, და მაშ რა უნდა
ექნათ? რის მალითა, რომელსაც თავისნის საცხო-
ვრებელის შენახვაც არ შეეძლოთ დროებისაგამო.
ჩვენი საქართველო რამდენის ცეცხლით არის მოოხ-
რებული და რამდენი უბრალოთ სისხლი ჰშთაწყეულა,
რომელიც ის მოგონება ჰღრღნის გულს და ამ-
ძიმებენ სულსა. საქართველოს ისტორიით ვიცით
რამდენი უბედურებანი ყოფილან ქართველთა მო-
რის, და ოდესმე საქართველოსაც ყოფილა ლაშ-
რაკი ალაფებული, მარამ ნუთუ მეფენი ჩვენნი არ-
ყვნენ ბეჯითნი და არა ჰქონდათ სიმდაბლე, მო-
თმინება, სიბრძნე და გულოვნება, გარნა დროთა
ცვალებულობამ, და უთანხმოთ ჩარიგებმა მოსწყვიტეს-
ის ცხოვრების წყარო.

თუმცა ისინი მამანი აღიარებდნენ მეფეთა თავისთა-
ამ სიცოცხლეებითა დასცები ყოველის სურვილისადმი,
გარნა ნუ ყოველის გარწამს; მაგალითად განმ-
ზადებული საწყალის შემოსავალსა, მარამ იცოდე
იგი მალე წარსწყდების, მოსავლის ჰქონდეს მიწყნის-
რიცხვისასა; გარნა გაუფრთხილდი აზრებისა ვე-
ლისსა, იქმოდე ყოველის თავისა დროთა, გარნა

ჟვიან და განსჯით, კეთილი ესე რჩევა მცერმა და სიმუხთლემ მოსწყვიტა.

ღმერთო ჭეშმარიტო, შენდა მიმოვაქცევ თხო-ვასა ჩემსა, სადაცა არ არიან ამ სოფლის ამბოხებანი, განუსვენე მათ, სადაცა სეროვიმნი და სერაფიმნი სარობენ, რომელის მოწყალებითაცა მოვასწრივეთ კიდევ ამ დღემდის.

ახლა თუ კვალად განმეორდება რითამე ნერგული ნაშთი და ძელ მეორეთ აღუძღუდა ლაშქარიკი, მოი-თმინეთ განძლიერდეს, მთავრობის მფარველობით და რუსეთის მეცადინეობის შემწეობით, ბრმამაცა და თვალ ხილულმაცა გაიაროს, ბრძენმაცა და სულე-ლმაცა, მაშინ დიდება უნამეცნავესი ფასი, თუ ერთი არ წაწყმნდა მეორე ვითარ სცხონდება! აბა ესლა ჩუენი მერისხმებით, ჩუენი კროცვი-ვის ვედრებით, მოუწამლვენ აზრსა და მოჭისწყე-დების ეს ცისკარი, არამც თუ გავრცელდეს. ჯერ მცირე წლოვანებით არ აჭყვავებულა, მზის სიც-ხოველეს არ შეუმზრია და იგი უნდა გარდაიქცეს მტვრადა, მაშინ ვინ დარჩება ბრალ ქუეშ?—

საქართველოს ხალხნი არიან ბუნებით ზნეობით-სრულნი და მხოლოდ ვიცით ერთი ახბანი უნამეც-ნავესად ქალითა, ჭსხოვა ჭსწავლა არა ენისა არა-თუორს ჩუენში და უცოდნელთ რას მოსთხოვენ

ანკი სხუას ევროპიულ წესს, რაც იციან ისა ჰკი-თხარნ. სად ყოფილა გეშნაზიები, ლიცეები, უნი-ვერსიტეტები და აკადემიები, კაცნიც იმჟამად არიან განზრდილნი და ქალებისათჳს ხომ პირველი. და ბედნიერება იქნებოდა საქართველოს საზოგადო-ებისათჳს, რომ სხუა და სხუას ენების ცნობით სრულნი ჰყოფილიყვნენ, გარნა ლა მიზეზს თჳთვე ჰსწერით და რა გაეწყობა ძლევა მოსილით. ჩუენი სამღრთოო წერილის ჰსწავლა არა არის როგორც ფიქრობენ გონების დამაბნელებელი, მაშ სხუა ქუეყნებში არა არის სამღრთოო წერილები? არა უნდა გვესმოდეს ვინ შექმნა კაცი, ვინ იცნო ღმერთი, ვინ მოგვცა მცნება, ჰსჯული ვისგან დაეწესა, რას ნიშნავს ქრისტიანობა, ვის გამოი-ყვანა პირუტყლ მეფედ და მოანიჭა გვირგვინი? რით იციან ესენი თუ არა სამღრთოო წერილებით, და თუ ეს არა იცის კაცმა, რათ ექნება ღმრთის სიყვარული, მცნების დამარხუა და პატივის ცემა. ის იქნება მაშინ ყინულის კაცი, ანუ არა მოით-ხოვს საჭიროება რომ ვიცოდეთ, ისტორიულნი ცხოვრებანი, პირველნი და შემდგომნი, ვინ იყვნენ საკჳრველთ მომქმედნი, ვისგან გამოიცადნენ, ვისგან განმშვენიერდნენ, და შემოვიდნენ ნათელში? ნუთუ მხოლოდ საქართველოს ისტორია საჭირო

და სხვა არა. ჩუენ უნდა გვქონდეს იმედი, რომ თუ მეცადინენი ვიქნებით ცხოველი სულით არც ჩუენ დაგვიცლევემს სულ ისმერ.

კნეინა ბარბარე ჯორჯაძისა

1859 წელსა.
25 -ს დეკემბერს.
ქ. გორში.

# ქუთაისის იარმუკა.

---

მართებლობამ ინება ჩუჱნ ქალაქში იარმუკის დანიშვნა იმ აზრით, რომ სუყეველთა ადგილებიდგან გენერალ-გუბერნატორსტვოში, მოიტანონ ადგილობრივი სავაჭროები, აქ გაყიდონ და იყიდონ სხუა. ამ იარმუკას უწოდეს კონსტანტინე მიხაილის სახელი.

საზოგადოდ იმერეთსა აქუს სასარგებლო მდებარეობა. მხოლოდ გზები ავლია. იმისი სასარგებლო მდებარეობა არის: ზღვს მახლობლობა, მიწის მდიდარი მცენარეობა. აქ არის, მაგალითად, ბზა, კაკალი, წაბლი და სხუა სასარგებლო ხეები, რომელნიც სხუაგან იშვათად იპოვებიან; არის ბანბა და აბრეშუმი, რომლისაც ეხლა გენერალ-გუბერ-

ნატოლის-ტვოლში ხუთი მატი ფაბრიკა დაფუძ-ნდა. ლოვინოზედაც ვერავინ იჩივლებს; ოჯა-ლეში, ცოლიანოსური და საჯასახური ვერ ჩამოუვა გახურის, ვერც სიმრავლით და ვერც სიკეთით —

ლია-სა ოკტომბერს, როდესაც ჩავედი მზე, ქუთაისის ქუჩებში შეიქნა ჩოჩქოლი და გრი-ალი ბოვოსკებისა და ურმებისა. ეს მოასწა-ვებდა, რომ ქალაქიდგან გადაჰქონდათ სავა-ჭრო იარმუკაში.

სალამო იყო მშვენიერი, მაგრამ ერთ-ბაშათ მოიღრუბლა და წამოვიდა მსხვილი წვიმა, რომელიც მთელი ღამე შეუწყვე-ტლივ ასხამდა. ამისთანა წვიმა ცხელ ქვეყ-ნებში იცის ზღვის პირათ. ქუჩებსკი არა შეეტყორა, რადგანც შოსსეთი არიან მოჰ-კირწყულნი. სახლები ვერ გადურჩნენ წვი-მის ჩამოუსვლელობას, რიონი აღარ იც-ნობოდა: ისრე მოდიოდა და აიმღვრა! იმ მდი-ნარეზედ სჩანდნენ პატარ-პატარა ნაოყის ანუ კარჩების კუნძულები, რომელნიც რიონს მო-ჰქონდა მთელი დღე. ხალხი დიდად შეწუ-ხდა რადგანც დღესასწაულს მოელოდა.

400 დუქანი არის დაფუძნებული რიონის

კუნძულზედ, რომელსაც ბალახოვანს ეძახიან ერთს მხარეზედ მომდინარეობს რიონი და მეორეზედ რუ. აღმოსავლეთით ამპარტავნად აღზდგებიან ახალციხის და გურიის შავთ ტყეებით დაბურულნი და აწინდელის დროს ადგილ-ადგილ დათოვლილნი მთებნი; დასავლეთით მოჩანს დაბალი, მაგრამ თვალთათჳს მშვენიერი მთა, რომელზედაც იყო უწინდელი ქუთაისი და სადაც დღესაცა დგას ამოტენა ეკკლესიის ნამტვრევები, აშენებული მეფე ბაგრატ მეოთხისაგან. ჩრდილოეთით ჩანს ნაწილი ქალაქისა და გაიშლება დიდი მშვენიერი გეგუთის მინდორი, რომელიც აქამომდე შეიცავს, როგორათაც ფიქრობენ თამარდედოფლის ძველის სასახლეს, ციხე დარბაზათ წოდებულს. სამხრეთით არიან პატარა იმერული ხის სახლები ბაღებში და სხუა და სხუა რუსების ბოსტნები. გზა, რომელიც აქ მოდის ქალაქიდგან გამოივლის სლობოტკაზედ და სწორედ მოაგონებს კაცს რუსის სტანციას. დუქნები იარმუკაში არიან დაყოფილნი შარებათ: შუაში ხან უკრავს რუსული მუზიკა და ხან ზურნა საქართველოდგან მოსული.

ადგილობრივ სავაჭრო თითქმის არაიფერია, რადგანაც სალიხმა ვერ მოახწრო მოტანა, იმ მიზეზით რომ გვიან შეიტყვეს იარმუკის დაფუძნება. სხვა და სხვა ალაგებიდგან მოვიდნენ, სახელდობრივ: ორი ახალციხელი, რომელთაც მოიტანეს ნაკერები და ვერცხლეული ნივთები, ყოველთ იციან საქართველოში, რა გვარი ანუ რა ღირსების ნივთები ეჭირდება ახალციხეს, მხოლოდ ახალციხეს, აქ მოვიდნენ ეგრეთვე ორნი ანუ სამნი. გორის მცხოვრებნი ევროპიულის [?] სავაჭროთი. დანაშთენნი ხალხი ამ ქალაქის ვაჭრები იყვნენ, იმათაც ხალხი სამზღვარ გარედამ მოაქვსთ სავაჭრო. პარასკეობით ხალხი იყო მრავალი, მაგრამ ყველა დიდი ნაწილი შეიყრებოდა, რადგანაც იმ დღეს არის აქ ყოველის დროს ბაზარი. და ამ დღისათვის ჩამოაქვსთ: კარტოფილი, ჭარხალი, ლობიო, ყურძენი, ქათმები, ინდაურები, ბატები და კრიასნოხსნები [?]. კარგა იციან საქართველოში, რაც არის აქაური კრიასნოხსანი [?]. კრიასნოხსნებს [?] აკეთებენ ვიშროსაგან [?], რომლისაც იმერეთში ბევრი არის. მკვეთებელთ [?] მალიან დაამკვრევს [?] ისინი, რადგანაც დიდს ხმარებაშია. კრია-

წოხნებს მრავალის ყიდულობენ არა თუ ქარ-თჳელები, არამედ რუსებიცა, რომელნიცა გზავნიან რუსეთში. კრიანოხნებს აძლევენ სხუა და სხუა ფორმას. არის მოგრძო ბუდე-შურის მსგავსი, მრგუალი, დიდი და პატა-რა. გიშრისას აკეთებენ ჭევრებს, მუშტუ-კებს პაპიროზებისთჳს და სხუა ნივთებს.

კარგად მომაგონდა: ყაზართოველთ ჩა-მოიყვანეს იარმუკაზედ გასასყიდად ცხენები, საქონელი და ცხვარი.

იარმუკაზედ ხალხი იყოფებოდა სხუა და სხუა ტომებათ. აქ იყუნენ: იმერლები, მეგ-რელნი, გურულნი, აფხაზნი, ახალციხის სომეხნი, რუსები და ქუთაისის მცხოვრებნი ურიანი. ესენი ყველანი ირჩეოდნენ სახით, ჩაცმულობით და ლაპარაკით.

კურთხევა იარმუკისა დანიშნეს იბ-ს საათ-ზედ ა-ს ნოემბერს. თუმცა მალიანი წჳმდა, მაგრამ ხალხი შეიყარა. გენერალ-გუბერნა-ტორი, ეპისკოპოზი და სხუა და სხუა სამოქა-ლაქოსა და სამხედროს სამსახურის პირნი მოვიდნენ.

მღუდელი მთავარმა გერმანემ იხადა პარა-კლისი და შემდეგ აკურთხა. ამ პროცესიის

შემდეგ დაპატიჟებულნი შევიდნენ კარვებში, სადაცა იყო სტოლზედ სუფრა გაშლილი და მომზადებული საუზმე. ამის დროს მუზიკა და ზურნა არ სწყვეტდნენ ხმას. ქუთაისის პირველი პირი მოქალაქეთა შორის და ყოველთაგან პატივცემული ყ. აკოფოვი წამოსდგა და მოახსენა ხალხის მხრით მადლობა გენერალ-გუბერნატორს ამ შემთხვევისათჳს, რომლისაცა იგი იყო მიზეზი. შემდეგ ფეხზედ დგომით დალიეს სადღეგრძელო: ჴელმწიფისა, კნიაზ ნამესტნიკისა, გენერალ-გუბერნატორისა და ეპისკოპოზისა. თავდებოდარა საუზმე კნიაზ გიორგი რომანიჩი ადგა და მიუბრუნდა ხალხს ამ სიტყვებით: აი, ეს არის ჲ-ი წელიწადი, რაც, თქჳენა ხართ რუსეთის მმართებლობის ქჳეშ. მე ვგონებ, რომ თქჳენ კარგა ჰხედავთ, როგორ ზრუნავს იგი თქჳენის სიკეთისათჳს? აი ეხლა, ჩემის თხოვნით ჴელმწიფემ დაამტკიცა აქ იარმუკა, ორის კვირით. ამის შემდეგ თქჳენზედ იქნება დამოკიდებული ვაჭრობის გავრცელება. თქჳენ უნდა გახდეთ შუამავლად შავის და კასპიის ზღჳს მცხოვრებლებთან.— გაათავარა ეს სიტყვები, მიიღო ჴელი ურა-

ებისკენ და განაგრძელა, «იცხოვრეთ და იმუ-შაკეთ ერთათ, მშვიდათ, რადგანაც შთამომა-ვლობით ერთის კაცისაგან ხართ, ერთის კაცის შვილნი და ერთის დიდის მეფის ქვე-შევრდომნი.»

დასასრული ამ შესხმისა არის შესანიშ-ნავი, იმიტომ რომ ნაჩალნიკი უცხადებს ხალხს, რომ მათ არ უნდა სძულდესთ ურიანი, არა-მედ უნდა უყუარებდნენ მათ მშვიდათ და სი-ყვარულით — ურიანი, რომელნიც საზოგა-დოდ წინააღმდეგ კაცობრიობისა და ღვთისა შევიწროებულნი არიან და, რომელითა განა-თლებული მმართებლობაში და განათლებული ხალხთ კიდეც მოაქციეს ყურადღება.

იარმუკამ გასწია ორი კვირა დაწყობაში და დარი იყო ცუდი, მაგრამ მერმე თოვა, მოიდარა და დათბა.

განვიმეორებ აქ: რადგანაც იარმუკა იყო პირველად, წრეულს ამ მიზეზით ხალხი იყო ცოტა და სავაჭროც მცირედ გაისყიდა, შე-მდეგ წლებში იმედი გვაქვს, რადგანაც ყო-ველივე წინ მიდის არც ქუთაისის იარმუკა დარჩება უკან და ვაჭრობაც ცოტად გავრ-ცელდება. სხუა და სხუა მხრებიდგან ალიაგობრივ

სავაჭროს მოტანას დაიწყობენ და აქაური ხალხი შეეჩვევა ალებმიცემას.—

თ. ზ. ერისთავი.

ნოემბერს ჩყნთ—სა წელსა.
ქ. ქუთაისი.

# სხუა და სხუა ამბავი.

ქუთაისის იარმუკა: იარმუკის გახსნა, ფაბრიკების დაფუძნება, ქუთაისის გარემოების მოკლედ აღწერა, სამღრთო წესის გარდახდა და დასასრულს, ერისადმი გულმტკივნეულ სიტყვების წართქმა ბრწინ-ვალე კნიაზის ღენერალ-ღუბერნატორის გიორგი რომანის_ძის ერის-თავისაგან. . . . . . . თ. ზაქ. ერის_თავისა.

---

# ძელი მოსწერდება

## 1860 წელსა.

ქ. ტფილისში, ქართულის ჟურნლის «ცისკრის» რედაქ-ციაში, კუკიას, კერესელიძის სახლებში.

ფასი ერთის წლის გამოცემისა, ქ. ტფილისში გაუ-გზავნელად ექუსი მანეთი, ხოლო შინ მიწოდებით ანუ სხუა ადგილებში გაგზავნით: შვდი მანეთი თეთრი ფული.

**Печатать позволяется. Декабря 13 дня, 1859 года.**
**Испр. должн. Груз. Ценсора Св. Алексѣевъ.**

11629